# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 18 იანვარი 2008 №009 (3233) ფასი 50 თეთრი




# ირლანდიას თბილისის ეშინოდეს!

„ირლანდიასთან მოგება? ჩემი აზრით, საკუთარ მოედანზე ამის კარგი შანსი გვაქვს. თბილისში ჩვენი დამარცხება ძალიან ძნელია. სანამ ლიტვასთან წავაგებდით, ერთი წელიწადი შინ არ დავმარცხებულვართ, ამ ხნის განმავლობაში კი ისეთ კარგ გუნდებს მოვუგეთ, როგორებიც შოტლანდია, ურუგვაი და თურქეთი არიან" — უთხრა საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა კლაუს ტოპმიოლერმა ირლანდიურ გამოცემა „ინდეპენდენტს".

გეცოდინებათ, მუნდიალ 2010-ის შესარჩევ ციკლს საქართველო სწორედ ირლანდიასთან საშინაო მატჩით იწყებს.

„ჩვენ შინ გვსურდა შესარჩევი ციკლის დაწყება და ამას მივაღწიეთ".

ტოპმიოლერი ერთხელაც აღნიშნავს ნაკრების ფიფას რეიტინგში წინსვლას, 105-ე ადგილიდან 77-ეზე ავინაცვლეთო.

„ჩვენ ძლიერი გუნდი გვყავს და მიხარია, რომ წინ მივიწევთ. ორი წლის განმავლობაში პროგრესი შეიმჩნევა, რისი დასტურიც შოტლანდიასთან, საფრანგეთთან, იტალიასთან და უკრაინასთან მატჩებია".

გუშინ კი ტოპმიოლერი მაროკოში გაემგზავრა.

მოგეხსენებათ, კვირას აფრიკის ეროვნებათა თასის გათამაშება იწყება და ცხადია, ვიფიქრეთ, ტოპმიოლერის მაროკოში ყოფნა ჩვენთვის რამენაირად საინტერესო ხომ არ არისო, მაგრამ გავიგეთ, რომ ეროვნული გუნდის მწვრთნელი მაღრიბეთში დასასვენებლად წასულა. დაისვენებს, მერე საქართველოში ჩამოვა და გუნდს ლატვიასთან 6 თებერვლის ამხანაგური მატჩისთვის მოამზადებს. ისე კი კლაუს ტოპმიოლერი შესაძლოა, განაში, აფრიკის თასის რამდენიმე თამაშსაც დაესწროს.

# თარიღთა მაგია

## რატომ ვერ უნდა მოუგოს იტალიამ საქართველოს 10 სექტემბერს




# ქართველები ტესტზე გავიდნენ

## ვიამხანაგოთ დილა-საღამოს



სიონი — ამერს „ქართულმა" ამინდმა და მოედანმა უმასპინძლეს

ზამთრის მოსამზადებელი ეტაპია და ცხადია, ამხანაგობების დროც დგას. ქართულ გუნდთა ნაწილს ტესტ-მატჩთა დღეები ჰქონდათ.

წმინდა ქართული თამაში იყო სოფელ რატევანში, სადაც შარშანწინდელმა ჩემპიონმა „სიონმა" თასის მფლობელ „ამერს" უმასპინძლა და 1:2 დამარცხდა.

შარშანდელი ჩემპიონი „ოლიმპი" კი უკრაინული შეკრებიდან რუსეთში გაემგზავრა, სადაც ხვალ პირველ მატჩს ჩაატარებს „თანამეგობრობის თასზე". უკრაინული ამხანაგური შეხვედრებიდან კი რუსთაველებმა მარცხი და ფრე გაიყოლეს სანკტ პეტერბურგში.

გუშინ ანთალიაში ორი საკონტროლო თამაში ჩაატარა ამ სეზონში ჩემპიონობის უმთავრესმა მაძიებელმა „დინამომაც". თბილისელები დილა-სალამოს „დემირსფორს" გაეჯიბრნენ. დილის თამაში ჩვენების მოგებით დასრულდა, სალამოსი კი — თურქებისა.

სეზონის განახლებამდე კი ტესტ-მატჩთა სერია, რა თქმა უნდა, გაგრძელდება.



ბესიკ ჩიმაკაძის გოლი

# ამერმა და ჩიმაკაძემ დაიწყეს

**გუშინ** სოფელ რატევანის დათოვლილ სტადიონზე „სიონმა“ „ამერს“ უმასპინძლა და 1:2 წააგო, თუმცაღა პირველი ტაიმის მერე იგებდა.

„სიონისთვის“ ეს მეორე ამხანაგური მატჩი იყო ზამთრის მოსამზადებელ პერიოდში — წინა შეხვედრაში ქვემოქართლელებმა „გაგრას“ 2:1 მოუგეს. „ამერმა“ კი საკონტროლო შეხვედრების სერია გუშინდელი თამაშით დაიწყო.

თასის მფლობელები აქამდე იპოდრომსა და დარბაზში ვარჯიშობდნენ, ორი ვარჯიში კი ტექნიკურ ცენტრ „ბასას“ ხელოვნურსაფარიან მინი-მოედანზე ჩაატარეს.

დათოვლილმა მოედანმა თავისი გაიტანა, მოთამაშეებს ფეხის მოკიდება, ცოტა არ იყოს, უჭირდათ, მაგრამ რომ გაეჩვივნენ, გვარიანად კარგი თამაშიც გამოვიდა.

პირველ ტაიმში მომენტები ნაკლებად იყო და, ფაქტობრივად, ერთადერთი სახიფათო იერიში გოლით დამთავრდა — ლევან ბაჯელიძის პასით გიორგი კვიტაიშვილმა გაიტანა.

შესვენების მერე თამაში აშკარად უკეთესი იყო, მომენტები კი მასპინძელთა კართან იქმნებოდა. მინდია ბობღიაშვილმა რამდენიმე უძნელესი ბურთი აუღო რევაზ გოცირიძეს და დავით ბოლქვაძეს, თუმცა გოცირიძემ, ვინც გუშინ იუბილარი იყო, 27 წლისა გახდა, თავისი მაინც გაიტანა — სულიკო დავითაშვილის პასი შეირგო.

თბილისელთა გამარჯვებისა კი ბესიკ ჩიმაკაძემ გაიტანა. თუმც ცხადია, მთავარი ამ ახალგაზრდა ფეხბურთელის მოედანზე დაბრუნებაა.

შეგახსენებთ, 7 თვის წინ ახალგაზრდული ნაკრების ვარჯიშისას მან ფეხი სამ ადგილას მოიტეხა და გუშინ ხელახალი დებიუტი ჰქონდა. ბოლო წუთებზე ჩიმაკაძემ ხელსაყრელი პოზიციიდან ვერ გაიტანა, 88-ეზე კი შეაგდო: კობა შალამბერიძის დარტყმული მეკარემ მოიგერია და ჩიმაკაძემ დასწრებაზე გაიტანა.

— ძალიან გახარებული ვარ. ამდენი ხნის მერე პირველად ვითამაშე და გოლიც გავიტანე — გვითხრა ნამატჩევს ჩიმაკაძემ — იოლი თამაში არ ყოფილა, მაგრამ მთავარია, რომ ისევ ვთამაშობ.

ჯემალ ჭიპაშვილი, „სიონის“ გენერალური მენეჯერი: „რამდენიმე ფეხბურთელი გვაკლდა და სელექციაც ჯერ არ დაგვისრულებია: ამ თვეში კიდევ ორი ამხანაგური მატჩი გვაქვს დაგეგმილი: 20 იანვარს „ზესტაფონს“ ვეთამაშებით, 31-ში კი — „მერანს“. შუალედში, ალბათ, ერთ თამაშსაც ჩავატარებთ, ოღონდ მეტოქე ჯერ არ დაგვიზუსტებია“.

გუნდებმა ასეთი შემადგენლობებით ითამაშეს:

***სიონი:** ბობღიაშვილი, სვანიძე, გ. ოქროპირიძე, რაქვიაშვილი (უგულავა 76), ქურასბედიანი (ლ. ჩხეტიანი 46), ლ. ბაჯელიძე (ჩახემი 46), ზ. ავალიანი, ბ. ნოზაძე (მ. ოქროპირიძე 46), კვიტაიშვილი, ქარდავა, შ. ჯიქია.*

***ამერი:** ქვარხია (ლ. ნადირაშვილი 46), მესხი, დავითნიძე (ჩიმაკაძე 75), გვაძაბია (კაკაშვილი 46), ელბაქიძე (ჩიკვილაძე 46), დიდავა (დ. მჭედლიშვილი 46), დეკანოსიძე (ბოლქვაძე 46), ა. ალავიძე (დოლიძე 46), სილაგავა (შალამბერიძე 46), ტატანაშვილი (დავითაშვილი 46), ხარაძე (რ. გოცირიძე 46).*

**კოტე ძეძელია**

# დინამო ვარჯიშის ნაცვლად თამაშობს

**თბილისის** „დინამოს“ გუშინ ანთალიაში ორჯერ უნდა ევარჯიშა, მაგრამ მწვრთნელმა დუშან უჰრინმა ამის ნაცვლად შეგირდები თურქულ „დემირსფორს“ გააჯიბრა. „დინამომ“ და „დემირსფორმა“ დილით და საღამოს ითამაშ-ივარჯიშეს. დილის თამაში 2:0 მორჩა, საღამოს კი თბილისელებმა 0:1 დათმეს.

უჰრინმა თურქებს ჯერ ასეთი შემადგენლობა დაუპირისპირა: *ლორია, შ. კაშია, ზელიჩი, კაკუბავა, დობეში, ოდიკაძე, ხმალაძე, ნერგაძე, ქანთარია, გრიგალაშვილი, აკირემი.*

ორივე გოლი შოთა გრიგალაშვილმა გაიტანა, განსაკუთრებით ლამაზი კი პირველი ყოფილა. აქვე გეტყვით, რომ კიევის „არსენალისთვის“ წინა ამხანაგურ მატჩში გრიგალაშვილის გატანილი გოლი უკრაინელმა ჟურნალისტებმა თვით პელეს გატანილებს შეადარეს — ასე მხოლოდ პელეს გაჰქონდაო. შოთამ „არსენალისა“ და უკრაინის ნაკრების მეკარე ვიტალი რევას ცენტრიდან გაუტანა...

დილის მატჩისას ჩინებულად უთამაშია მეკარე გიორგი ლორიასაც.

„დემირსფორთან“ საღამოს კი უჰრინმა ესენი ათამაშა: *ოვონო, გ. კაშია, გველესიანი, კრშკო, თოძაშვილი, ქავთარაძე, ვაწაძე, ხუციშვილი, ხასხოევიჩი, დოლმელაშვილი, გრიგალაშვილი (ხმალაძე 36).*

ტაიმის ხანგრძლივობა 35 წუთი იყო, გუნდებმა უმსაჯოდ ითამაშეს.

აღსანიშნი ამბავია, რომ გუშინ უჰრინმა „დინამო 2“-დან დამატებული კაკუბავა, ქავთარაძე და ქანთარია ათამაშა. გუნდის მთავარი დამრტყმელი ძალა გიორგი მერებაშვილი კი ისვენებდა, მას მაღალი ტემპერატურა აქვს და ალბათ ვერც ხვალ ითამაშებს ზაპოროჟიეს „მეტალურგთან“.

— კმაყოფილი ვარ, ჯერჯერობით ყველაფერი გეგმაზომიერად მიდის, ბიჭები მონდომებულები არიან. იმედი მაქვს, არაფერი შეიცვლება და „დინამო“ მეორე წრეს კარგად მომზადებული შეხვდება — გვითხრა „დინამოს“ მწვრთნელმა დუშან უჰრინმა.

**ლუკა თალაკვაძე**

# პაჭელო პატარა ლოკოში

**მოსკოვის** „ლოკომოტივის“ დუბლშემადგენლობას დაუბრუნდა გიორგი ჭელიძე, რომელიც საქართველოს ჩემპიონატის პირველ წრეში „ზესტაფონში“ იყო განათხოვრებული.

„ლოკომოტივის“ დუბლები საკონტროლო მატჩში „სიბირი 2“-ს შეხვდნენ და 7:2 დაამარცხეს. „პაჭელო“ შეცვლაზე შევიდა, თუმც გოლი არ გაუტანია.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# როგორი რუსთავი ჩამოვა რუსეთიდან?
## ოლიმპი სერიოზულ ტრანსფერს ამზადებს



ალექსანდრ პოპოვიჩი

**საქართველოს** ჩემპიონმა რუსთავის „ოლიმპმა“ უკვე შეკრა ბარგი და სანკტ პეტერბურგს გაემგზავრა, სადაც 19 იანვარს „თანამეგობრობის“ თასის პირველ მატჩს გამართავს სერბულ ოფკ-სთან.

მანამდე კი რუსთაველებმა უკრაინულ შეკრებაზე ზედიზედ ორი ტესტ-მატჩი ჩაატარეს: ტერნოპოლის „ნივასთან“ 0:1 დამარცხდნენ, სიმფეროპოლის „იგროსერვისთან“ კი 0:0-ს დასჯერდნენ.

ანატოლი პისკოვეცის გუნდში მატებაა — აქამდე მიწვეულ სამ უკრაინელს კიდევ ორი ლეგიონერი შეემატა — უკრაინელი ემილიანოვი და მოლდოველი პოპოვიჩი.

დღესდღეობით „ოლიმპში“ მისულ უცხოელთა შორის ყველაზე სახელიანი ალექსანდრ პოპოვიჩია — მოლდოვის ნაკრების თავდამსხმელი, ვინც ბოლოს უკრაინულ „ზარიაში“ ირიცხებოდა და ლადო ბურდულის და გიორგი ციმაკურიძის თანაგუნდელი გახლდათ.

პოპოვიჩი 1977 წლის 9 აპრილს დაიბადა, 184 სმ სიმაღლისაა და 76 კილოს იწონის. „ზარიამდე“ კი ამ კლუბებში უთამაშია: „ტილიგული“ (მოლდოვა), „დუისბურგი“ (გერმანია), „დინამო“ (რუსეთი), „ტორპედო-ზილი“ (რუსეთი), „კონსტრუქტორული“ (მოლდოვა), „ილვა“ (კორეა), „დნიპრო“ (უკრაინა) და „კრივბასი“ (უკრაინა).

ვნახოთ, შეძლებენ თუ არა რუსთაველები მის გადმობირებას, ის კი ფაქტია, რომ პისკოვეცს ამის დიდი სურვილი აქვს და არც იმას მალავს, რომ „ოლიმპში“, შესაძლოა, კიდევ გამოჩნდნენ ლეგიონერები.

**კახა შალამბერიძე**

# სირაძეს დასაწყისი მოეწონა



**საქართველოს ნაკრებისა და გერმანული „პადერბორნის“ თავდამსხმელმა დავით სირაძემ ლიტვის ნაკრებთან მატჩში მიღებული ტრავმის შემდეგ, ნაახალწლევს განაახლა ვარჯიში. „პადერბორნი“ ესპანეთში იყო შეკრებაზე, სადაც ქართველი ფორვარდიც იახლა. ახლა კი გუნდი უკვე გერმანიაშია და სირაძესაც იქ შევეხმიანეთ...**

**— ორთვიანი პაუზის შემდეგ ვარჯიში დაიწყე. თავს როგორ გრძნობ?**

— თავის ტკივილები აღარ მაწუხებს და ჩვეულებრივად, გუნდთან ერთად ვვარჯიშობ.

**— ახლახან დაბრუნდით ესპანეთიდან, სადაც ათდღიანი შეკრება გაიარეთ...**

— ნორმალურად მოვემზადეთ, ორი ამხანაგური შეხვედრაც გავმართეთ. ორივეჯერ მეორე ტაიმი ვითამაშე. რა თქმა უნდა, ჯერ ბურთზე თავის დარტყმას ვერიდები და ოპტიმალურ ფორმამდეც ბევრი მაკლია, თუმცა სეზონის განახლებამდე დრო არის და ნელ-ნელა მოვუმატებ.

**— მეორე ბუნდესლიგა თებერვლის დასაწყისში განახლდება და, ცხადია, მანამდე ტესტ-მატჩებს გავმართავთ...**

— 3 თებერვლამდე რამდენიმე თამაშს აუცილებლად ჩავატარებთ.

**— „პადერბორნი“ გავარდნის ერთ-ერთი კანდიდატია და რა სიტუაციაა გუნდში?**

— მწვრთნელს მაინც იმედი აქვს, რომ არ გავვარდებით და ვნახოთ... ძალიან დიდი ძალისხმევა დაგვჭირდება, რომ არ დავქვეითდეთ.

**— საქართველოს ნაკრების კალენდარი დამტკიცდა. როგორ ფიქრობ, რამდენად კარგია ჩვენთვის?**

— პირველი თამაში რომ შინ გვაქვს ირლანდიასთან, ეს მისალებია და საერთოდ, პირველი ოთხი ტური მომწონს.

**ნუკრი ლოლაძე**

## იტალია

**თასის 1/8 ფინალი**
**საპასუხო მატჩები**

*ინტერი* 3:0 რეჯინა (4:1)

ნაპოლი 1:1 *ლაციო* (1:2)

## საბერძნეთი

**თასის 1/8 ფინალი**

ირაკლისი 1:0 პანიონიოსი

## ამხანაგური მატჩები

ბენინი 1:2 სენეგალი

ვიკინგი 0:4 ბოტაფოგო

კარლსრუე 1:2 ფიურტი

სლავია 2:0 ბუდეიოვიცე

ბაზელი 2:2 ბოხუმი

ლეგია 1:0 ესენი

# კალენდარი

## 2008 წელი

**6 სექტემბერი**

**საქართველო — ირლანდია**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 06.09.1995 | ს | ეჩშ | გერმანია | 1:4 |
| 06.09.2003 | შ | ეჩშ | ალბანეთი | 3:0 |
| 06.09.2006 | ს | ეჩშ | უკრაინა | 2:3 |

**10 სექტემბერი**

**იტალია — საქართველო**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 10.09.1997 | შ | მჩშ | იტალია | 0:0 |
| 10.09.2003 | ს | ეჩშ | ალბანეთი | 1:3 |

**11 ოქტომბერი**

**საქართველო — კვიპროსი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 11.10.1995 | შ | ეჩშ | ბულგარეთი | 2:1 |
| 11.10.1997 | შ | მჩშ | პოლონეთი | 3:0 |
| 11.10.2000 | ს | მჩშ | იტალია | 0:2 |
| 11.10.2003 | ს | ეჩშ | რუსეთი | 1:3 |
| 11.10.2006 | შ | ეჩშ | იტალია | 1:3 |

**15 ოქტომბერი**

**საქართველო — ბულგარეთი**

## 2009 წელი

**11 თებერვალი**

**ირლანდია — საქართველო**

**28 მარტი**

**კვიპროსი — საქართველო**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 28.03.2001 | შ | მჩშ | რუმინეთი | 0:2 |
| 28.03.2007 | შ | ეჩშ | შოტლანდია | 1:2 |

**1 აპრილი**

**საქართველო — ჩერნოგორია**

**5 სექტემბერი**

**საქართველო — იტალია**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 05.09.1998 | შ | ეჩშ | ალბანეთი | 1:0 |
| 05.09.2001 | შ | მჩშ | რუმინეთი | 1:1 |

**10 ოქტომბერი**

**ჩერნოგორია — საქართველო**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 10.10.1998 | ს | ეჩშ | ლატვია | 0:1 |

**14 ოქტომბერი**

**ბულგარეთი — საქართველო**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 14.10.1998 | ს | ეჩშ | საბერძნეთი | 0:3 |



საქართველოს ახალი მეტოქეთაგან ყველაზე მეტჯერ იტალიასთან უთამაშია

# დავითვალოთ და ვითამაშოთ

## საქართველო თარიღებში: სექტემბრიდან ოქტომბრამდე

**ფიფასა** და უეფას სანაკრებო მატჩების თარიღები რამდენიმე წლის წინწაგდებით აქვთ დადგენილი და ჯერ არ გვახსოვს შესარჩევი ეტაპის შეხვედრები იმ დღეებში ჩატარებულიყოს, იქამდე რომ ნაკრებებისთვის უქმე ყოფილიყო. მარტივად და უფრო გასაგებად ვთქვათ: ფიფა-უეფა სანაკრებო დღეებს არ ცვლის და გუნდებსაც წლიდან-წლამდე ერთსადაიმავე დროს უწევთ მატჩების ჩატარება. ასეთ დღეებს ხშირად ერთიდაიმავე მეტოქეების თამაშებიც ემთხვევა. მაგალითისთვის საქართველო — იტალიის შეხვედრებიც გამოდგება. ჩვენებს მსოფლიოს ჩემპიონებთან 2000 წლის 11 ოქტომბერსაც უთამაშიათ და 2006 წლის 11 ოქტომბერსაც. საქართველოს იტალიასთან 1997 წლის 10 სექტემბერსაც აქვთ ნათამაშევი და ამა წლის 10 სექტემბერსაც ითამაშებენ...

მოგეხსენებათ, სოფიაში მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის ჩვენი შესარჩევი ჯგუფის კალენდარი შედგა და მეტოქეებმაც ის თარიღები გაინაწილეს, რომლებიც ფიფამ თქვა.

საქართველოს ნაკრების კალენდარს დავხედეთ, მერე არქივშიც ჩავიხედეთ და ვნახეთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის მომავალი შესარჩევის 10 მატჩიდან ჩვენების გრაფიკში სულ სამია ისეთი თარიღი, როცა საქართველოს აქამდე არ უთამაშია — 15 ოქტომბერი, 11 თებერვალი და 1 აპრილი — საქართველოს არც ოფიციალური მატჩები ჩაუტარებია, არც ამხანაგურები.

სამაგიეროდ, ჩვენებს ხუთი ოფიციალური შეხვედრა გაუმართავთ სხვადასხვა წლის 11 ოქტომბერს და წლეულსაც 11 ოქტომბერს კვიპროსთან თამაში ელით.

ამჟამინდელი კალენდრით მოცემულ სათამაშო თვეებში საქართველოს ყველაზე მეტჯერ სწორედ ოქტომბერში უთამაშია და ამ შესარჩევის ყველაზე მეტ, ოთხ მატჩსაც ოქტომბერში ჩაატარებს. საოქტომბრო სტატისტიკა ჩვენებისთვის არც მთლად სახარბიელოა: 5 წაგება 2 მოგების წილ.

ოქტომბრის შემდეგ საქართველოსთვის ყველაზე დატვირთული სექტემბერია. ადრიან შემოდგომაზე, ანუ 5, 6 და 10 სექტემბერს საქართველოს ასევე 7-ჯერ უთამაშია. 3 მოგება, 3 წაგება და 1 ფრე, ასეთია ჩვენების მონაგარი სექტემბრის იმ რიცხვებში, რომლებიც ახლა აქვთ სათამაშოდ გამზადებული. სამიდან ორი მატჩი საქართველოს 5 სექტემბერს, შინ მოუგია. სამომავლო კალენდრით კი 2009 წლის 5 სექტემბერს თბილისში იტალია ჩამოდის.

ისე, ზემოთ 1997 წლის 10 სექტემბერიც ვახსენეთ — ის თამაში 0:0 მორჩა. გავიმეოროთ, რომ იტალიასთან ჩვენები წლეულსაც 10 სექტემბერს ითამაშებენ და ასეთი შედეგის გამეორება არც ახლა აწყენდა კლაუს ტოპმიოლერის გუნდს...

28 მარტს, როცა საქართველო კვიპროსს უნდა ესტუმროს, ჩვენებს 2001 და 2007 წლებში უთამაშიათ. საქართველომ შარშან ფარერებს შინ 3:1 მოუგო, ხოლო ადრე თბილისში, რუმინეთთან 0:2 დათმო. საინტერესოა, რომ სწორედ ამ თამაშის შემდეგ დაკარგა საქართველომ მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის პრაქტიკული შანსი, რუმინეთმა კი პირიქით, გაიუმჯობესა.

15 ოქტომბერს, 1 აპრილსა და 11 თებერვალს საქართველოს ჯერ არც ერთი მატჩი ჩაუტარებია და მომავალ შესარჩევში პირველად მოხდება, რომ ჩვენების მატჩები „უცხო" თარიღებს დაემთხვა.

თანაჯგუფელ მეტოქეებიდან საქართველოს, კარგად გეცოდინებათ, ამხანაგურ თუ ოფიციალურ დონეზე, ჩერნოგორიის გარდა ყველასთან უთამაშია, თუმცა მხოლოდ იტალია და ბულგარეთი არიან ის გუნდები, რომლებსაც საქართველო ამ კალენდრით დადგენილ თარიღებში შეხვედრია.

ერთიც, კარგი დასაწყისი საქმის ნახევარიაო, უთქვამთ. ახალ შესარჩევ ეტაპს საქართველო 6 სექტემბერს ირლანდიასთან შინ მატჩით იწყებს. 6 სექტემბერს კი საქართველოს თბილისში ერთი მატჩი ჩაუტარებია და ალბანეთი 3:0 დაუმარცხებია. 6 სექტემბრის დანარჩენი ორი შეხვედრა ჯერ ალექსანდრე ჩივაძის, მერე კლაუს ტოპმიოლერის შეგირდებმა ნიურნბერგში გერმანიასთან 1:4 და კიევში უკრაინასთან 2:3 დათმეს.

ერთი სიტყვით, შორს აღარ წავიდეთ და ამ თარიღებში საქართველოს ნათამაშევ ყველა მატჩსაც ნუ გავიხსენებთ... ისღა დავძინოთ, რომ ამ კალენდრით მითითებულ რიცხვებში საქართველოს სულ 16 შეხვედრა ჩაუტარებია, 6 მოუგია, 9 წაუგია, 1 ფრედ უთამაშია.

ყველაზე იღბლიანი თარიღები 5 და 6 სექტემბერია, ჩვენებს ლიტვისთვის და ორჯერ ალბანეთისთვის მოუგიათ, სამჯერვე შინ. გუშინწინ შედგენილი კალენდრის მიხედვით, საქართველო 6 სექტემბერს ირლანდიას მასპინძლობს, გაისად 5 სექტემბერს — იტალიას. სექტემბრის ერთი მატჩიც ტოპმიოლერის გუნდს 10-ში იტალიაში ელის.

ასე რომ, ვარსკვლავთმრიცხველებსა და ნუმეროლოგებს თუ გავყვებით, საქართველო მსოფლიოს ჩემპიონატის ამ შესარჩევ ეტაპზე ალბათ ბოლო მატჩებამდე მაგრად გვანერვიულებს.

ჩვენც ხომ ეგ გვინდა...

**კობა ინასარიძე**

# ყაზახეთზე რთული აზერბაიჯანი

**ბაქოში** მიმდინარე ფუტსალის ოთხთა საერთაშორისო ტურნირზე საქართველოს ნაკრებმა ორი მატჩი გამართა და ორივეში ერთნაირი ანგარიშით, 1:3 დამარცხდა. პეტრე თაბუკაშვილის შეგირდებმა ჯერ ყაზახეთთან, შემდეგ კი აზერბაიჯანთან წააგეს.

აზერბაიჯანელებთან მატჩის შემდეგ იქაურმა პრესამ ორივე გუნდის მწვრთნელს სთხოვა კომენტარი...

პეტრე თაბუკაშვილი: „აზერბაიჯანელებთან თამაში უფრო გაგვიჭირდა, ვიდრე ყაზახებთან. სამწუხაროდ, დავმარცხდით. აზერბაიჯანელთა შეჩერება რთული იყო. განსაკუთრებით ბორისოვსა და ფარაჯბადეს გამოვარჩევდი".

ანდრეი იუდინი: „ყაზახებთან მარცხის შემდეგ ქართველები უფრო მოტივირებულნი იყვნენ, თუმც მთელი მატჩი დაცვითი ტაქტიკა აირჩიეს. ჩვენი მთავარი პრობლემა მომენტების გამოუყენებლობა იყო. ვეცდებით, იგივე შეცდომები ყაზახებთან არ გავიმეოროთ".

აზერბაიჯანელებისა და ყაზახების დღევანდელ მატჩში გაირკვევა ტურნირი გამარჯვებულის ვინაობა. ქართველები კი ბაქოს ნაკრების დამარცხებას შეეცდებიან, რათა მესამე ადგილი მაინც დაიკავონ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# კარპატის ქართულები

**ლვოვის** „კარპატი" თურქულ შეკრებაზე მიემგზავრება და იქ ექვს საკონტროლო მატჩს გამართავს.

როგორც კლუბის ოფიციალური ვებგვერდი გვამცნობს, ორი შეხვედრა ქართულ გუნდებთანაა დაგეგმილი: 27 იანვარს ლვოველები პირველლიგელ „გაგრას" გაეჯიბრებიან, 5 თებერვალს კი — თბილისის „დინამოს".

დინამოელები იმ დროისთვის რიგით მეორე თურქულ შეკრებაზე იქნებიან.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ძოძუაშვილი გერმანიიდან მოძებნეს

**გერმანიაში** მცხოვრებ მავან ბერნდ ცომერს ცნობილი ფეხბურთელების 38 600 ავტოგრაფიანი სურათი ჰქონია. მის კოლექციას უახლოეს პერიოდში კიდევ ერთი უნდა მიემატოს.

ცომერს ახლა გაუგია, რომ ყარაგანდის „შახტიორის" მთავარი მწვრთნელი რევაზ ძოძუაშვილია. გერმანელ კოლექციონერს ნანახი ჰქონია მისი თამაში და ქართველ სპეციალისტს წერილი გაუგზავნა, რომელშიც სთხოვს, მისი კოლექცია თავისი სურათითა და ავტოგრაფით შეავსოს.

ცნობისთვის: ცომერის კოლექციაში თურმე კიდევ ერთი ქართველი ფეხბურთელის, მიხეილ მესხის ფოტოც არსებობს ავტოგრაფით.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სკონტომ ბაბუნაშვილის დინაბურგი დაამარცხა



27 წლის შოთა ბაბუნაშვილი ლატვიურ „დინაბურგშია“ და რიგის „სკონტოსთან“ ამხანაგურ მატჩშიც ითამაშა.

რიგელებმა 1:0 მოიგეს და ორივე ჩვენიანმა, დავით გამეზარდაშვილმა და ზაალ ელიავამ თითო ტაიმი იბურთავეს — გამეზარდაშვილი ძირითადში იყო, ელიავა შესვენების შემდეგ გამოჩნდა მინდორზე, ბაბუნაშვილმა კი 67 წუთი დაყო.

შოთა ბოლოს „ბორჯომში“ იყო განათხოვრებული თბილისის „დინამოდან“, თუმცა ახლა უკვე თავისუფალი აგენტია.

და კიდევ: „სკონტოში“, ალბათ, დღე-დღეზე გამოჩნდება ლადო დვალიშვილი. რუსთავის „ოლიმპის“ ფეხბურთელზე „სკონტოს“ ვებგვერდი არაფერს წერს, მაგრამ ის კი ცნობილია, რომ დვალიშვილის გარდა, რიგელთა გუნდს კიდევ ორი ახალწვეული ჩააკითხავს.

**ილია ნანობაშვილი**

# გიორგი სეთურიძემ მარცხნიდან ირბინა

**გერმანული** მეორე ბუნდესლიგის ბოლოსწინაადგილოსანი იენის „კარლ ცაისი“ თურქეთის შეკრებაზე მიჯრით იგებს ტესტ-მატჩებს. „კოტბუსის“ ძლევის შემდეგ ილია კანდელაკის, გიორგი სეთურიძისა და გიორგი ონიანის გუნდმა შვეიცარიულ „სენტ გალენს“ 1:0 სძლია.

ონიანს მცირე ტრავმა აქვს და მალე გამოჩნდება მინდორზე, კანდელაკმა და სეთურიძემ კი თითო ტაიმი ითამაშეს.

საინტერესოა, რომ „კარლ ცაისის“ თავკაცს გადანაცვლებები გაუკეთებია და სეთურიძე მარცხენა ნახევარმცველად დაუყენებია.

**ილია ნანობაშვილი**

# მამალაძემ მწვრთნელს რუსი გააგდებინა

**აზერბაიჯანის ჩემპიონატში საკმაოდ მომრავლდნენ ქართველი ფეხბურთელები. ცოტა ხნის წინ იქ ქართველი მწვრთნელიც გამოჩნდა — კახა ცხადაძე. ყველაზე „ქართული“ გუნდი აზერბაიჯანში „გაბალაა“, სადაც ოთხი ქართველია — ზურაბ მამალაძე, ირაკლი ვაშაკიძე, თორნიკე აფციაური და გიორგი გაბიდაური. პირველი წრის შემდეგ „გაბალა“ მეხუთე ადგილზეა. გუშინ თბილისში მყოფ მამალაძეს შევეხმიანეთ...**



— ხვალ მეორე წრისთვის მზადებას ვიწყებთ და მეც ახლა მივდივარ აზერბაიჯანში.

**— პირველი წრე მეხუთე ადგილზე დაასრულეთ. რამდენად კმაყოფილია გუნდის ხელმძღვანელობა?**

— მიზანი შვიდეულში მოხვედრაა და ჯერჯერობით მეხუთეზე ვართ. თასის მეოთხედფინალშიც გავედით. ასე რომ, კარგად მივდივართ.

**— აზერბაიჯანში რომ ჩახვედი, თავიდან არ გაგიჭირდა?**

— ერთი რუსი მეკარე დამხვდა. იქ ლეგიონერებზე ლიმიტია და ან მე უნდა დავრჩენილიყავი, ან ის. საბოლოოდ, მწვრთნელმა არჩევანი ჩემზე შეაჩერა.

**— შენ გარდა სამი ქართველია „გაბალაში“— ვაშაკიძე, გაბიდაური და აფციაური, რაც, ალბათ, გიმსუბუქებს იქ ყოფნას...**

— რა თქმა უნდა, კარგია, ამდენი ქართველი რომ ვართ ერთად.

**— უცხოელებზე ლიმიტიაო, თქვი და რამდენი ლეგიონერის ყოლის უფლება აქვთ კლუბებს?**

— შვიდის. ხუთი სასტარტოში, ორიც სათადარიგო.

**— თქვენ ოთხნი ხართ და კიდევ რამდენი ლეგიონერი ჰყავს „გაბალას“?**

— კიდევ ოთხი — ერთი თურქი, ორი აფრიკელი და ერთიც რუსი.

**— საქართველოს ჩემპიონატის დონე იქაურზე დაბალია?**

— ბევრით არა, მაგრამ იქ უკეთესი ჩემპიონატია.

**— ხელფას-პრემიებიც უკეთესი იქნება...**

— ამ მხრივაც კარგი მდგომარეობაა და ქართულ პირობებს საკმაოდ აღემატება.

**— ხალხი თუ დადის სტადიონზე?**

— ჩვენს თამაშებზე 4-5 ათასი კაცი სულ დადის. აზერბაიჯანელებს ფეხბურთი უყვართ.

**ნუკრი ლოლაძე**



**რამდენიმე დღის წინ საქართველოს ნაკრებისა და კიევის „არსენალის“ თავდამსხმელ გიორგი დემეტრაძესთან ინტერვიუ შემოგთავაზეთ — მაშინ ქართველი ფეხბურთელი გულშემატკივართა კითხვებს პასუხობდა. ჩვენებურს მოსვენება არც ჟურნალისტებისგან აქვს და „არსენალის“ თურქულ შეკრებაზე გამგზავრების წინ სასაუბროდ მოიხელთეს...**

# შესაძლოა, პლეიბოიში გადაღება ცუდად გამიგონ

## გიორგი დემეტრაძე: ნებისმიერ ადამიანს გამოვიყვან წყობიდან

**— ახალი წელი და შობა სად გაატარეთ?**

— ახალი წელს თბილისში შევხვდი, რადგან ამ პერიოდში საქართველოში ყოფნა ყოველთვის მახარებს. ჩვენი ოჯახისთვის უკვე წლებია, ტრადიციად იქცა, რომ სადღესასწაულო მაგიდას მივუსხდეთ და ყველამ ერთად ვიზეიმოთ. შობას კი კიევში შევხვდი.

**— თქვენთვის ახალ წელს მილებული საჩუქრებიდან ყველაზე არაორდინალური და დასამახსოვრებელი რომელი აღმოჩნდა?**

— ყველა, ვისაც თორმეტი საათის შემდეგ შევხვდი, საუკეთესო საჩუქარს წარმოადგენს. საერთოდ, ჩვენთან ასეთი ტრადიცია არ არსებობს, ახალ წელს ერთმანეთს საჩუქრები ვჩუქნოთ.

**— საჩუქრების მიღება უფრო გიყვართ თუ გაცემა?**

— რა თქმა უნდა, მიღება. ეს ხომ ყველას მოსწონს.

**— ამბობენ, ახალი წლის დადგომისთანავე რაიმე უნდა ჩაიფიქრო და აუცილებლად აგიხდებაო. ამის გჯერათ?**

— არა, არასოდეს ჩამიფიქრებია არავითარი სურვილი.

**— ალბათ ფეხბურთი მოგენატრათ...**

— ცხადია, მაგრამ დასვენების დროს უფეხბურთოდ არც ვყოფილვარ. მე, კახა კალაძე, ლევან კობიაშვილი, ალექსანდრე იაშვილი და სხვა ლეგიონერები, რომლებიც ახალ წელს საქართველოში ატარებდნენ, ვიკრიბებოდით, რათა მინი-ფეხბურთი გვეთამაშა.

**— უკრაინის ჩემპიონატის პირველ წრეში მოედანზე იშვიათად ჩნდებოდით. რით იყო ეს გამოწვეული და მეორე წრისგან რას ელით?**

— გუნდში არცთუ კარგ სათამაშო ფორმაში მოვედი და ამიტომ პირველი წრე ჩემთვის წარუმატებელი აღმოჩნდა. ზამთრის შეკრების დროს კარგად მოვემზადები, რათა ვითამაშო, გოლები გავიტანო და გულშემატკივრები გავახარო.

**— ზამთრის სატრანსფერო პერიოდში „არსენალის“ დატოვება ხომ არ გიფიქრიათ?**

— ამის თაობაზე ჩემთვის არავის არაფერი უთქვამს. ჯერჯერობით თამაშს „არსენალში“ ვაპირებ.

**— თქვენი აზრით, „არსენალს“ ევროთასის საგზურისთვის ბრძოლა შეუძლია?**

— ახლანდელ „არსენალს“ გაცილებით მეტი შეუძლია. პირველ წრეში მეტად საჭირო ქულები დავკარგეთ ისეთ შეხვედრებში, რომლებშიც აუცილებლად უნდა გაგვემარჯვა. ეს რომ არ მომხდარიყო, სატურნირო ცხრილში უფრო მაღლა ვიქნებოდით.

**— მიმდინარე სეზონში უკრაინულმა კლუბებმა ევროპულ არენაზე გამოსვლა დაასრულეს. ჩემპიონთა ლიგაში მხარს ვის დაუჭერთ?**

— გუნდს, რომელშიც თამაშობს კახა კალაძე — „მილანს“.

**— „არსენალში“ ყველაზე უფრო რომელ ფეხბურთელთან მეგობრობთ?**

— ძალიან მეგობრული გუნდი გვყავს და ყველასთან კარგი ურთიერთობა მაქვს. ახლახან გუნდში ალბანელი მცველი ელვინ ბეჩირი მოვიდა, რომელთან ერთადაც თელავივის „მაკაბიში“, ვლადიკავკაზის „ალანიასა“ და დონეცკის „მეტალურგში“ ვთამაშობდი. ასე რომ, „არსენალში“ ერთი მეგობრით მეტი მეყოლება.

**— დღესდღეობით, კიევის „დინამოს“ რომელიმე ფეხბურთელთან ურთიერთობა თუ გაქვთ?**

— არა.

**— თავის დროზე, „დინამოდან“ რომ წახვედით, იფიქრებდით, რომ კიევში თამაში კიდევ მოგიწევდათ?**

— „დინამოზე“ ნამდვილად არ მიფიქრია, ხოლო სხვა კლუბში გადასვლას არ გამოვრიცხავდი. ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმ ფაქტს, რომ ფეხბურთელის ცხოვრების წინასწარ განსაზღვრა რთულია.

**— ბევრ ქვეყანაში გითამაშიათ და ყველაზე მეტად სად მოგეწონათ ხალხის მენტალიტეტი, კულტურა, გულშემატკივრები?**

— ესპანეთში. იქ ფეხბურთიც მომწონდა, ადამიანებთან ურთიერთობაც და ქომაგებიც.

**— გასულ შემოდგომაზე „არსენალის“ ფეხბურთელებმა ჟურნალ „პლეიბოის“ ეროტიკულ ფოტოსესიაში მიიღეს მონაწილეობა. ამ გამოცემისთვის გადაღება რომ შემოგთავაზონ, დათანხმდებით?**

— ჯერ დავფიქრდებოდი. საქართველოში ხალხს სხვა მენტალიტეტი აქვს და, შესაძლოა, ჩემი ეს ნაბიჯი ვერ გაიგონ.

**— იმ მწვრთნელებიდან, რომლებთანაც კარიერის განმავლობაში გიმუშავიათ, ვის გამოარჩევდით?**

— თითოეულ მწვრთნელს ფეხბურთის საკუთარი ხედვა აქვს. რომელიმე მათგანის გამოყოფა გამიჭირდება. ვცდილობ, თითოეული სპეციალისტისგან მხოლოდ კარგი ავიღო. თუმცა ჩემთვის ყველაზე დიდი მწვრთნელი ვალერი ლობანოვსკია.

**— თქვენს მიმართ გამოთქმულ კრიტიკას როგორ აღიქვამთ?**

— გააჩნია, კრიტიკა ვისგან მოდის. პირადად, მხოლოდ პროფესიონალურ კრიტიკას ვიღებ.

**— თქვენი გაბრაზება და მდგომარეობიდან გამოყვანა ადვილია?**

— კი. ემოციური ვარ, მაგრამ თავადაც შემიძლია ნებისმიერის წონასწორობიდან გამოყვანა.

**— ადამიანებში ყველაზე მეტად რომელ თვისებას აფასებთ?**

— წესიერებას და სიკეთეს.

**— გოგონებში?**

— ამ თვისებებს გოგონებშიც ვაფასებ და, ცხადია, სილამაზესაც.

# დაჩია: კორღალიძე და პარამონოვი

**მოლდოვის** ჩემპიონატის მეორეადგილოსან „დაჩიაში“ სამი ქართველი ფეხბურთელია, თუმც მათგან მხოლოდ ჯაბა დვალია ოფიციალურად გუნდში — ლევან კორღალიძე და დიმიტრი პარამონოვი კი გასინჯვაზე არიან.

საქართველოს ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი კორღალიძე შარშან ზაფხულიდან ლატვიის „დინაბურგში“ თამაშობდა, მანამდე კი ბოლნისის „სიონში“ გახლდათ. რაც შეეხება პარამონოვს, იგი ბოლოს ცხინვალის „სპარტაკში“ იყო.

და ვიტალი დარასელია?

რამდენიმე დღის წინ თვითონ ვიტალიმ გვითხრა, „დაჩიასთან“ კონტრაქტი კი მაქვს, მაგრამ, სავარაუდოდ, მოლდოვაში აღარ დავბრუნდებიო.

მოკლედ, ვნახოთ, რას იზამენ ახალი ქართველები...

**ილია ნანობაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უმეფო სამეფო

## ესპანეთი

**თასის 1/8 ფინალი**
**საპასუხო მატჩები**

**რეალი 0:1 მალიორკა (1:2)**

0:1 იბაგასა (83)

**რეალი:** დუდეკი, სალგადო, ს. რამოსი, კანავარო, მარსელო, გაგო, გუტი, ბაპტისტა, დრენტე (სნეიდერი 77), იგუაინი (რობინიო 65), სავიოლა (ვან ნისტელროი 46)

**მწვრთნელი:** ბერნდ შუსტერი

**მალიორკა:** მოია, ვარელა, ბალესტეროსი, რამისი, ფ. ნავარო, ბასინასი, ბორხა ვალერო, ხონასი, ტუნი (ვიქტორი 59), ტრეხო (იბაგასა 46), არანგო (პერეირა 86)

**მწვრთნელი:** გრეგორიო მანსანო

**გაფრთხილება:** გუტი, ბაპტისტა, ვან ნისტელროი, არანგო, ხონასი, მოია, ბორხა ვალერო

**მსაჯი:** მედინა კანტალეხო

68 000 მაყურებელი

**ესპანიოლი 1:1დ.დ.(3:4პ) ბილბაო (1:1)**

1:0 ლუის გარსია (10), 1:1 ირაოლა (81)

**ლევანტე 0:1 ხეტაფე (0:3)**

0:1 გავილანი (64)

**რასინგი 4:2 სარაგოსა (1:1)**

0:1 რ. ოლივეირა (6), 1:1 ჩიტე (21), 2:1 ორიოლი (33), 3:1 ოსკარ სერანო (68), 3:2 დ. მილიტო (81), 4:2 გარაი (90პ)

**ვალიადოლიდი 1:1 ატლეტიკო (0:0)**

0:1 აგერო (51), 1:1 ხ. ლორენტე (68)

**ვილიარეალი 2:0დ.დ.(1:0) უელვა (0:1)**

1:0 სენა (10), 2:0 ჯ. როსი (102)

**ვალენსია 2:1 ბეტისი (2:1)**

1:0 ჟიგიჩი (9), 2:0 ვისენტე (68), 2:1 ხუანიტო (77)

**„სამეფო** კლუბი" „სამეფო თასიდან" გააძევეს. „მალიორკამ" მადრიდის „რეალს" მეორე მატჩიც მოუგო და მეოთხედფინალში გავიდა. პირველ მატჩში კუნძულელებმა 2:1 იმარჯვეს, საპასუხოში კი „რეალს" იშვიათი რამ დაემართა — „სანტიაგუ ბერნაბეუზე" გოლი ვერ გაიტანა. სამაგიეროდ, გაიტანა მალიორკელმა არიელ იბაგასამ, რომელმაც იეჟი დუდეკს ბურთი თავზე გადააველო. ეს მოხდა 83-ე წუთზე და „რეალს" მატჩის სათავისოდ შემოსაბრუნებლად აღარც დრო ჰქონდა და აღარც ჯანი.

მასპინძლებმა პირველი ტაიმი რუუდ ვან ნისტელროის და რობინიოს გარეშე ითამაშეს, თუმც არაერთი მომენტი შექმნეს. მეორე ტაიმში ორი ფორვარდის შესვლამ „რეალის" შეტევები ოდნავ შეაფერადა, მაგრამ „მალიორკას" მეკარე მიგელ ანხელ მოია ყოჩაღად იდგა. „არა მგონია, იმაზე უკეთ თამაში შეიძლებოდეს, ჩვენ რომ ვაჩვენეთ პირველ ტაიმში, მაგრამ მომენტს თუ ვერ გამოიყენებ, წააგებ" — თქვა ბერნდ შუსტერმა. „მალიორკა" მეოთხედფინალში „ხეტაფეს" შეხვდება, რომელმაც ორი მატჩის ჯამში „ლევანტე" 4:0 დაამარცხა.

„ვილიარეალს" დამატებითი დრო და ჯუზეპე როსის გოლი დასჭირდა „უელვასთან" მოსაგებად და მეოთხედფინალში „ბარსელონას" დაეჯახება.

მადრიდის „ატლეტიკოს" არგენტინელმა სერხიო აგერომ „ვალიადოლიდის"მცველებს „ჩაუცეკვა" და კოხტა გოლი გაუტანა. ამ გოლმა მადრიდელები შემდეგ ეტაპზე გაიყვანა.

„პრიმერადივიზიონში" ზედიზედ რვამატჩმოუგებელმა „ვალენსიამ" თასზე გაიხარა და „ბეტისს" საპასუხო შეხვედრაშიც სძლია, ხოლო „რასინგმა" „სარაგოსას" ახალ მწვრთნელმა ანდერ გარიტანოს დებიუტი ჩაუმწარა. სტუმრები მალევე დაწინაურდნენ, მაგრამ სანტანდერელებმა სამი გოლით უპასუხეს.

„სამეფო თასის" 23-ჯერ მომგებმა „ბილბაომ" ათკაცა „ესპანიოლს" ძირითად და დამატებით დროში ვერ აჯობა, მაგრამ პენალტებში სძლია.

**ვაჟა ხუციშვილი**



„ატლეტიკო" მეოთხედფინალში სერხიო აგუეროს გოლმა გაიყვანა



კაფუსა და ვარგასის ორთაბრძოლა

# კატანიამ მილანი თასიდან გამოთიშა

## იტალია

**თასის 1/8 ფინალი**
**საპასუხო მატჩები**

**კატანია 1:1 მილანი (2:1)**

1:0 ვარგასი (12), 1:1 პალომბო (68)

**კატანია:** ბიზარი, სილვესტრი, სოტილი, სტოვინი, ვარგასი, ბაიოკო (იცო 46), ედუსეი, ტედესკო (ნარდინი 90), ხ. მარტინესი (გაცოლა 75), მასკარა, სპინესი

**მწვრთნელი:** სილვიო ბალდინი

**მილანი:** კალაჩი, ოდო, დიგაო, შიმიჩი, ფავალი (ბონერა 46), კაფუ, ემერსონი (გატუზო 65), პირლო (პალომბო 46), ბროკი, გურკუფი, ჯილარდინო

**მწვრთნელი:** კარლო ანჩელოტი

**გაფრთხილება:** სილვესტრი, ემერსონი, ტედესკო, გატუზო, ოდო, გატუზო

**გაძევება:** სოტილი (75), გატუზო (78)

**მსაჯი:** აიროლდი

21 000 მაყურებელი

**პალერმო 0:1 უდინეზე (0:0)**

0:1 ფლორო ფლორესი (90)

**ფიორენტინა 2:0 ასკოლი (1:1)**

1:0, 2:0 პაცინი (60, 73)

**სამპდორია 4:0 კალიარი (0:1)**

1:0 ბონაცოლი (4), 2:0 სალა (49), 3:0 პალომბო (75), 4:0 ბონაცოლი (89)

**რომა 4:0 ტორინო (1:3)**

1:0 მანსინი (60), 2:0, 3:0 ტოტი (62, 73პ), 4:0 ჟიული (90)

**კარლო ანჩელოტის** „მილანი" იტალიის თასს დაემშვიდობა. „როსონერიმ" საპასუხო შეხვედრაც ექსპერიმენტული შემადგენლობით ჩაატარა და „კატანიას" 1:1 ეთამაშა. სიცილიელებს „სან სიროზე" 2:1 მოეგოთ და ამიტომ მეოთხედფინალში ისინი გავიდნენ, სადაც „უდინეზეს" შეხვდებიან.

„კატანიამ" დებიუტშივე შექმნა რამდენიმე მომენტი და სწრაფი გოლი გაიტანა კიდეც — ნელსონ ვარგასმა დაახლოებით 30 მეტრიდან ბრწყინვალედ გაისროლა და 1:0.

მილანელთაგან ყველაზე აქტიური ახალგაზრდა შემტევი ნახევარმცველი იოან გურკუფი გახლდათ. ფრანგმა რამდენიმე მწვავე მომენტი თავისთვისაც შექმნა და თანაგუნდელებისთვისაც.

ანგარიში 68-ე წუთზე გათანაბრდა, როცა შეცვლაზე შესულმა ნორჩმა თავდამსხმელმა ალბერტო პალომბომ სეხნია ჯილარდინოს პასი შერგო.

75-ე წუთზე ანდრეა სოტილმა გურკუფი მოცელა და წითელი ბარათი „დაიმსახურა". თუმც მალევე „მილანიც" 10 კაცით დარჩა — ჯენარო გატუზომ 13 წუთში ორი ყვითელი ბარათის მიღება მოასწრო...

დარჩენილ დროში მომენტები ორივე გუნდს ჰქონდა. ყველაზე მწვავე ეპიზოდი ჯილარდინოს შეექმნა, მაგრამ მან კატანიელთა მეკარე ალბანო ბიზარის ვერ აჯობა.

„სამწუხაროა, რომ თასს გამოვეთიშეთ, რადგან ნებისმიერი ტურნირიდან გამოვარდნა უსიამოვნოა. თუმცა თასი ჩვენთვის პრიორიტეტი არ გახლდათ. მიუხედავად ამისა, ბოლომდე ვიბრძოლეთ და მოგებაც შეგვეძლო. „კატანიამ" კი მართლა კარგად ითამაშა და კომპლიმენტებს იმსახურებს" — თქვა ანჩელოტიმ.

სიცილიელთა მწვრთნელი სილვიო ბალდინი: „ბედნიერები ვართ, რადგან საკუთარი თავის გარდა, ფანები და მთელი ქალაქი გავახარეთ ამ ისტორიული მიღწევით. აქამდე „კატანია" იტალიის თასის მეოთხედფინალში არასდროს ყოფილა, ახლა კი ეს შევძელით, თანაც „მილანის" გაგდებით".

მეოთხედფინალში „ელეფანტის" მეტოქე შეიძლებოდა, ისტორიული მტერი „პალერმო" ყოფილიყო, მაგრამ „უდინეზემ" „რენცო ბარბერაზე", სანახაობრივი თვალსაზრისით, არცთუ კარგი მატჩი ანტონიო ფლორო ფლორესის თავურით მოიგო და შემდეგ ეტაპზეც გავიდა.

„რომას" „ტორინოსთან" პირველი მატჩი 1:3 ჰქონდა წაგებული და როცა საპასუხო შეხვედრის თითქმის ერთმა საათმა უგოლოდ ჩაიარა, ალბათ ცოტა ვინმე თუ იფიქრებდა, რომ დარჩენილ დროში „ჯალოროსი" მეტოქის კარს ოთხი უპასუხო გოლით ამოავსებდა. მით უმეტეს, რომ, მიუხედავად დედაქალაქელთა აქტიურობისა, პირველ ტაიმში ყველაზე მწვავე მომენტი ტურინელებს ჰქონდათ.

„გლადიატორები" ამანტინო მანსინიმ დააწინაურა. ბრაზილიელმა სიმონე პეროტასა და ლუდოვიკ ჟიულის კომბინაცია დააგვირგვინა. აქედან ორ წუთში კი მინდორზე სამი წუთის შესულმა ფრანჩესკო ტოტიმ ჟიულის დარტყმულს დაამატა და 2:0.

„რომას" კაპიტნისთვის მნიშვნელოვანი მომენტი 73-ე წუთზე დადგა, როცა ფილიპ მექსესმა პენალტი დაიმსახურა, ხოლო ტოტიმ თავის კარიერაში „ჯალოროსის" მაისურით მე-200 ოფიციალური გოლი გაიტანა. წერტილი კი ჟიულიმ დასვა ჩინებული სოლო გარღვევის მერე.

„როცა ასეთი დიდი ჰანდიკაპი გაქვს ამოსაქაჩი, განსაკუთრებული განწყობით უნდა ითამაშო. მიხარია, რომ ბიჭებმა ეს სრულად გააზრეს და მეორე ტაიმში სათანადოდ გაისარჯნენ. ტოტისგან არაფერი გამკვირვებია, იგი თითქმის ყოველთვის ბრწყინვალეა, ჟიულიმ კი გამაოცა — გაციებული იყო და არ მეგონა, ასე საოცრად თუ ითამაშებდა" — თქვა „რომას" მწვრთნელმა ლუჩანო სპალეტიმ.

ჩინებულ ფორმაში მყოფმა „სამპდორიამ" კიდევ ერთი შთამბეჭდავი მატჩი ჩაატარა. გენუელებს სტუმრად 0:1 ჰქონდათ წაგებული, მაგრამ საკუთარ კედლებში თავისთვის სასარგებლო ანგარიშის მიღწევა არ გასჭირვებიათ. „სამპდორია" მეოთხედფინალში „რომას" ხვდება.

სერია B-ს ბინადარი „ასკოლი" დიდი ხანი უძალიანდებოდა „ფიორენტინას", მაგრამ ფლორენციელებმა საგარეო 1:1-ის მერე, მაინც შეძლეს მატჩის მისაღები ანგარიშით დასრულება. „იებმა" მეორე ტაიმში ჯამპაოლო პაცინის დუბლით იმარჯვეს. აღვნიშნოთ ისიც, რომ ამ შეხვედრაში ფლორენციელთა მაისურით „პიაჩენცას" ექსფორვარდ დანიელე კაჩას ჰქონდა დებიუტი.

**გიორგი კაკაბაძე**

## საფრანგეთი

**ლიგის თასი. 1/4 ფინალი**

**ლე მანი 1:0 ლიონი**

1:0 მაცუი (28)

**პსჟ 4:0 ვალანსიენი**

1:0 პაულეტა (23), 2:0, 3:0 დიანე (56, 61), 4:0 როტენი (70)

**ლანსი 3:0 ნანსი**

1:0 დემონი (15), 2:0 მაულიდა (44), 3:0 მონტერუბიო (58პ)

**ოსერი 1:0 მარსელი**

1:0 პედრეტი (90)

# მოყვარული გამდიდრდება

## ინგლისი

**ასოციაციის თასი**
**III ეტაპი. გადათამაშება**

**ჰავანტი 4:2 სუონსი**

1:0 მონკი (4ს.კ.), 2:0 კოლინზი (25), 3:0 ბაპტისტე (37), 3:1 ბაუზა (39), 3:2 სკოტლენდი (68), 4:2 ჯორდანი (65)

**ჰერეფორდი 1:0 ტრანმერი**

1:0 ჯონსონი (72)

**ნიუკასლი 4:1 სტოკი**

1:0 ოუენი (8), 2:0 კასაპა (31), 3:0 მილნერი (68), 4:0 დაფი (76), 4:1 ლოურენსი (89)

**სიტი 1:0 ვესტ ჰემი**

1:0 ელანო (73)

**მწვრთნელად** კევინ კიგანის დანიშვნამდე, „ნიუკასლმა" ნაიჯელ პირსონის თავკაცობით „სტოკს" 4:1 მოუგო. სწორედ „სტოკთან" პირველ სათასო მატჩში უგოლო ფრის გამო მოხსნეს სემ ალარდაისი და გუშინწინ „ნიუკასლში" ახალი მწვრთნელი მიიყვანეს — კევინ კიგანი. „კაჭკაჭებმა" იოლად სძლიეს მეორედივიზიონელ მეტოქეს, გოლები კი მაიკლ ოუენმა, კლაუდიო კასაპამ, ჯეიმს მილნერმა და დემიენ დაფმა მიითვალეს. „ნიუკასლი" მეოთხე ეტაპზე „არსენალს" შეხვდება.

„ჰავანტმა", რომელიც მოყვარულთა ლიგაში თამაშობს, მესამე დივიზიონის ლიდერ „სუონსის" აჯობა, მაგრამ მომდევნო რაუნდში ველარ გაისეირნებს, რადგან „ლივერპული" ელის. სამაგიეროდ, „ჰავანტი" „ლივერპულთან" მატჩით მილიონ გირვანქას იშოვის.

„მანჩესტერ სიტის" კი „ვესტ ჰემთან" ელანოს გოლმა მოაგებინა და „ქალაქელების" მომდევნო მეტოქე ჩემპიონლიგის „შეფილდ იუნაიტედი" იქნება.

**ვაჟა ხუციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბაიერნის ყველა დროის საუკეთესო ქალები


































**„ბაიერნის“** ფეხბურთელები საწვრთნელ ბაზა მარბელიაზე ყოფნისას დიდი გულისყურით ათვალიერებდნენ ჟურნალ „ბილდსა“ და მათი თანაგუნდელის მეგობარი გოგონა ევანხელინას ფოტოებს. მარტინ დემიკელისის სექსუალური მეგობარი გოგონა საჭორაო თემა ფეხბურთელთა ცოლების საზოგადოებაშიცაა. ეს უკანასკნელები სილამაზითა და მომხიბვლელობით, ნამდვილად არ ჩამოუვარდებიან არგენტინელ ანდერსონს.

სწორედ პირველობისა და ულამაზესის გამოსარკვევად, „ბილდმა“ „ბაიერნის“ ფეხბურთელთა მეორე ნახევრების 10 ფოტო გამოფინა და ულამაზესის გამორკვევა მკითხველს მიანდო.

***ქალბატონი მათეუსი:*** შვეიცარიელმა ტელეწამყვანმა ლოლიტა მორენამ ლოთარ მათეუსს 1992 წელს ვაჟი ლორისი აჩუქა. ისინი 1994 წლის იანვარში დაქორწინდნენ, ხოლო უკვე 1995 წელს დაშორდნენ ერთმანეთს. განქორწინებას კი 1999 წელს მოაწერეს ხელი.

***ქალბატონი კოვაჩი:*** მშვენიერი ანიკა — ყოფილი მის ხორვატია, რობერტ კოვაჩს ცოლად 2001 წელს. მათ ჰყავთ ქალიშვილი ლეტიცია, რომელიც 2003 წელს მოევლინა ქვეყანას.

***ყოფილი ქალბატონი შტრუნცი:*** ქერა კლაუდია „ბაიერნის“ ფეხბურთელ ტომას შტრუნცის მეუღლე იყო. მან 2002 წელს ქმარი შტეფან ეფენბერგის გამო მიატოვა, რომელთანაც 2004 წელს იქორწინა.

***ქალბატონი ბრემე:*** სტიუარდესა პილარ მარტინესმა და მსოფლიო ჩემპიონმა ანდი ბრემემ ერთმანეთი კარიბის რეისზე გაიცნეს და 1987 წელს დაქორწინდნენ. წყვილს ორი ბიჭი ჰყავს და დღესაც ბედნიერად ცხოვრობს მიუნხენთან ახლომდებარე შატრასლახში.

***ქალბატონი სანტა კრუზი:*** გისელე როკე სანტა კრუზის უდიდესი სიყვარულია. მათ 2003 წელს არგენტინაში იქორწინეს და ორი შვილის, ტობიასა და ფიორელის მშობლები არიან.

***ქალბატონი ლელი:*** იანინე ჰაბეკი სიამოვნებით ახდენდა საკუთარი მშვენიერი ფიგურის დემონსტრირებას („PLAYMATE“, თებერვალი 2004), 2006 წლის ზაფხულში კი იგი „ბაიერნის“ მცველის ქრისტიან ლელის მეუღლე გახდა, თუმცა მალევე დაშორდა, რის შემდეგაც მშვენიერი იანინე კარიერის გასაგრძელებლად აშშ-ში გადავიდა.

***ქალბატონი ტონი:*** მოდელი მარტა კეკეტი ათ წელზე მეტია, რაც ლუკა ტონისთან ერთადაა. ბავშვების შესახებ კი კითხვას ასე პასუხობს: „ეს შეიძლება ნებისმიერ დროს მოხდეს“.

***ქალბატონი რუმენიგე:*** მშვენიერი მარტინა 1978 წლიდან კარლ-ჰაინც რუმენიგეს მეორე ნახევარია. მათ ხუთი შვილი ჰყავთ, უმცროსი ანდრე ქორწილიდან ოთხი თვის შემდეგ მოევლინა ქვეყანას.

***ქალბატონი დემიკელისი:*** არგენტინელი ლამაზმანი და მარტინ დემიკელისი სულ რაღაც სამი კვირაა, რაც ერთად არიან. პოპულარული ტელევარსკვლავს თებერვალში მიუნხენში სურს საცხოვრებლად გადასვლა.

***ქალბატონი შოლი:*** ყოფილი მოდელი იესიკა და მეჰმეთ შოლი 2007 წლის ოქტომბერში დაქორწინდნენ. მათ ჰყავთ ქალიშვილი პოლი, რომელიც 2006 წლის მარტში დაიბადა და 2008 წლის მარტში ოჯახში კიდევ ერთი პატარა წევრს ელოდებიან.

**კოტე კეკელია**

# კანისთვის გაუგებარი ლემანი
## იქ თუ არ ხარ, აქ რა გინდა?

**„ბაიერნის“** მეკარემ ოლივერ კანმა იენს ლემანის საქციელს უცნაური და გაუგებარი უწოდა. შეგახსენებთ, რომ ლემანმა „არსენალში“ მეორეობა არჩია „დორტმუნდში“ გადასვლას. ბუნდესლიგური კლუბი „მეთოფვეს“ ეპატიჟებოდა და ძირითად შემადგენლობაში ადგილს ჰპირდებოდა, მაგრამ უარი მიიღო.

ოლივერ კანს და იენს ლემანს შორის „შავმა ბურთმა“ 2006 წელს გაირბინა. მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე ნაკრების მწვრთნელმა იურგენ კლინსმანმა განაცხადა, რომ მაისში გადაწყვეტდა, თუ ვინ იქნებოდა პირველი ნომერი. კლინსმანმა ლემანი არჩია და ოლივერ კანი ამიტომ გაბრაზდა. მას შემდეგ მეკარეები, როგორც კი შანსი მიეცემათ, ერთმანეთს კბილს გაჰკრავენ ხოლმე. ახლა კანის ჯერი დადგა და „ბაიერნის“ გოლკიპერმა თქვა: „ჩვენ ევრო 2008 გველის და ასეთი დონის ტურნირში უთამაშებელი მეკარის ნდობა არ შეიძლება. არ მესმის იენს ლემანისა, რომელიც ნაკრებში კვლავ პირველი ნომერია, რომ არ ცდილობს იმ კლუბიდან („არსენალიდან“) წასვლას, სადაც არ ათამაშებენ“.

„მეთოფვეების“ გერმანელმა ამ სეზონში მხოლოდ ოთხი მატჩი ჩაატარა და ზედიზედ ორი შეცდომის გამო არსენ ვენგერმა მანუელ ალმუნიათი შეცვალა. „ლემანი უმაღლესი კლასისაა, მაგრამ ის ფაქტი, რომ მთელი სეზონის განმავლობაში არ უთამაშია, ევრო 2008-ზე თავს აუცილებლად იჩენს. წარსულში ვერავინ წარმოიდგენდა, რომ გერმანიის ნაკრების მთავარი მეკარე თავის კლუბში მეორე ნომერი იქნებოდა“ — აღნიშნა კანმა.

**ვაჟა ხუციშვილი**



# ბესტი და კანტონა არ იყიდებიან



კრიშტიანუ რონალდუ და ალექს ფერგიუსონი

**მადრიდის** „რეალმა“ „მანჩესტერ იუნაიტედი“ პირდაპირ გააფრთხილა, რომ არასდროს და არავითარ შემთხვევაში არ შეწყვეტს კრიშტიანუ რონალდუს ყიდვაზე ფიქრს. ცნობილია, რომ ესპანეთის ჩემპიონს მომავალ ზაფხულს 50 მილიონი გირვანქის გაღება და ინგლისის ჩემპიონიდან პორტუგალიელი ვარსკვლავის გადაბირება სურს.

მადრიდელთა სპორტული დირექტორი პრედრაგ, ბოლო დროს რატომღაც პედია მიატოვიჩი:

„რონალდუ განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული ფეხბურთელია და ვინაიდან კარგად მოგვეხსენება, რომ ასეთი დონის ვარსკვლავის ყიდვა ადვილი საქმე არ არის, ამ მიმართულებით მუშაობას არ შევწყვეტთ. საკმარისია გათენდეს დღე, როდესაც რონალდუს შეძენის მინიმალური შანსი მაინც გამოჩნდება და ჩვენ დაუყოვნებლივ იქ გავჩნდებით. მისნაირი ფეხბურთელი მსოფლიოს ნებისმიერ გუნდს გააძლიერებს“.

და როგორია მანჩესტერელთა პასუხი? ალბათ, ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ინგლისის ჩემპიონმა ის წინადადება წარმოთქვა, რომელსაც ჰუმანიტარულ ტვირთს აწერენ ხოლმე: not for sale

„გამორიცხულია, ჩვენ რონალდუ რომ გავყიდოთ. ვიმეორებ, გამორიცხულია და თანხას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. რონალდუმ გასულ წელს ჩვენთან ახალი კონტრაქტი გააფორმა, რომელიც 2012 წლამდეა ძალაში, ჩვენ კი, მოგეხსენებათ, ის გუნდი არ ვართ, ფეხბურთელების გაყიდვით რომ ირჩენს თავს. ალექს ფერგიუსონს არასდროს გაუშვია ფეხბურთელი, რომელიც მანჩესტერში თავს ბედნიერად გრძნობს. კრიშტიანუ აქ ბედნიერია. ალექსმა და კარლუშ კეიროშმა ამ ბიჭისა ყველაფერი იციან. მათ ზუსტად იციან მისი ხასიათი და მისწრაფებები. ის „მანჩესტერ იუნაიტედისთვის“ იგივეა, ჯორჯ ბესტი და ერიკ კანტონა რომ იყვნენ“ — განაცხადა „იუნაიტედის“ აღმასრულებელმა შეფმა დევიდ გილმა.

**პაპუნა ძიძია**

# ტექნოლოგიური ექსპანსიის შიში

**უეფას** ახალი იდეა აქვს და ამ იდეის საქმით შემოწმებას აპირებს. საუბარია ორ დამატებით თანამსაჯზე, ასისტენტებზე, რომლებიც საჯარიმო მოედანს გააკონტროლებენ. ამ ორმა კაცმა, წესითა და რიგით, ფეხბურთი ტექნოლოგიური ექსპანსიისგან უნდა დაიცვან. სხვა სიტყვებით, თუ დამატებითი თანამსაჯების იდეა გაამართლებს, იქნებ ვიდეოთვალებსა და ჩიპებს გადავრჩეთ.

ზოგადად, ღირს თუ არა ვიდეოთვალებისა და ჩიპებისთვის თავის არიდება, რა საკვირველია, კვლავ კამათის საგნად რჩება, მაგრამ უეფა, მიშელ პლატინის ხელმძღვანელობით, ახალი იდეის ყმაწვილთა შეჯიბრებებზე მოსინჯვას რომ აპირებს, ფაქტია.

უეფას პრესმდივანი უილიამ გილარდი:

„თანამედროვე ფეხბურთი ადრინდელზე გაცილებით სწრაფია და მისი ყოველი ეპიზოდისთვის თვალის მიდევნება მეტისმეტად ძნელი გახდა. ფეხბურთის წესების დამდგენი საერთაშორისო საბჭოსგან ექსპერიმენტზე თანხმობა უკვე მიღებული გვაქვს. ახალი თანამსაჯები ლაინსმენებივით იქნებიან და მთავარ მსაჯთან რადიომოწყობილობით ექნებათ ურთიერთობა. ზოგი ექსპერტის აზრით, ამ ორი ადამიანის განლაგება კარსუკან სჯობს, ზოგი კი ამტკიცებს, რომ მათ საჯარიმოში უნდა იმოძრაონ“.

ხსენებულ საყმაწვილო ტურნირებზე ბატონი გილარდის მიერ ნახსენებ ორივე ვარიანტს მოსინჯავენ.

**პაპუნა ძიძია**

# ამერიკა მაინც სხვაა

**ცნობილმა** რობი ფაულერმა, ბოლოხანს ნაკლებად ცნობილ „კარდიფში“ რომ გამოდის, ერთხელაც იტკინა თეძო და ამის გამო, შესაძლოა, სეზონის ბოლომდე ველარც კი ითამაშოს. უფრო სწორედ, შესაძლოა კი არა, ველარ ითამაშებს, რადგან ამერიკაში პატარა ოპერაციისთვის ჩასულს გზაში დიდი პრობლემა დაეწია. ერთი სიტყვით, როგორც ირკვევა, წამკურნალება საქმეს არ შველის და „კარდიფის“ ხელმძღვანელებმა ოფიციალურ ვებსაიტზე უკვე გაავრცელეს ცნობა ფაულერის იძულებითი დასვენების შესახებ.



რობი ფაულერი

„ფაქტია, ის მოედანს მალე რომ არ დაუბრუნდება, მაგრამ არც ის არის ცნობილი, როდის შეძლებს ისევ თამაშს — ეს განცხადება კი ამერიკელმა ექიმებმა გააკეთეს — ის აქ სამკურნალოდ არის ჩამოსული და იმდენხანს დარჩება, რამდენსაც მკურნალობის პროცესი მოითხოვს“.

| 13238 | ნაიმეგენი-აიაქსი | 1.50 | 2.10 |
| 13240 | ვენლო-პსვ | 1.60 | 2.00 |
| 13243 | ვეენდამი-ზვოლე | 1.40 | 2.20 |
| 13244 | ტელსტარი-ოსხი | 1.40 | 2.20 |
| 13245 | მაასტრიხტი-ვალვაიკი | 1.40 | 2.20 |
| 13246 | ეინდჰოვენი-ჰაარლემი | 1.40 | 2.20 |
| 13247 | იგლზი-ვოლენდამი | 1.30 | 2.30 |
| 13248 | აპელდორნი-სიტარდი | 1.40 | 2.20 |
| 13249 | დენ ბოსხი-ჰელმონდი | 1.50 | 2.10 |
| 13250 | დენ ჰააგი-დორდრეხტი | 1.40 | 2.20 |
| 13251 | როზენდალი-კამბური | 1.50 | 2.10 |
| 13252 | ომნივორლდი-ემენი | 1.40 | 2.20 |

## გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17206 | გენგამი-აიაჩო | 1.85 | 1.95 |
| 17207 | მონპელიე-ბულონი | 1.85 | 1.95 |
| 17208 | ბასტია-ბრესტი | 1.85 | 1.95 |
| 17209 | ამიენი-დიჟონი | 1.85 | 1.95 |
| 17210 | რეიმსი-გრენობლი | 1.85 | 1.95 |
| 17211 | შატორუ-გენიონი | 1.85 | 1.95 |
| 17212 | ლე ავრი-ლიბურნი | 1.85 | 1.95 |
| 17214 | სედანი-ნიორი | 1.85 | 1.95 |
| 17215 | ანჟე-ტრუა | 1.85 | 1.95 |
| 17216 | ანდერლეხტი-მეხელენი | 1.85 | 1.95 |
| 17217 | სერკლი-გენკი | 1.85 | 1.95 |
| 17218 | გენტი-მუსკრონი | 1.85 | 1.95 |
| 17219 | ბეერსხოტი-დენდერი | 1.85 | 1.95 |
| 17220 | მონსი-ბრიუგე | 1.85 | 1.95 |
| 17222 | რუზელარე-შარლერუა | 1.85 | 1.95 |
| 17223 | სტ.ტრუიდენი-ლოკერენი | 1.85 | 1.95 |
| 17224 | სტანდარდი-ვარეგემი | 1.85 | 1.95 |
| 17226 | ვესტერლო-ბრიუსელი | 1.85 | 1.95 |
| 17230 | ექსელსიორი-ფეიენოორდი | 1.85 | 1.95 |
| 17232 | ჰერენვენი-ალკმაარი | 1.85 | 1.95 |
| 17233 | უტრეხტი-როდა | 1.85 | 1.95 |
| 17234 | ბრედა-ტილბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17235 | ვიტესი-ჰერაკლესი | 1.85 | 1.95 |
| 17236 | სპარტა-გრააფსხაპი | 1.85 | 1.95 |
| 17237 | ტვენტე-გრონინგენი | 1.85 | 1.95 |
| 17238 | ნაიმეგენი-აიაქსი | 1.85 | 1.95 |
| 17240 | ვენლო-პსვ | 1.85 | 1.95 |
| 17243 | ვეენდამი-ზვოლე | 1.85 | 1.95 |
| 17244 | ტელსტარი-ოსხი | 1.85 | 1.95 |
| 17245 | მაასტრიხტი-ვალვაიკი | 1.85 | 1.95 |
| 17246 | ეინდჰოვენი-ჰაარლემი | 1.85 | 1.95 |
| 17247 | იგლზი-ვოლენდამი | 1.85 | 1.95 |
| 17248 | აპელდორნი-სიტარდი | 1.85 | 1.95 |
| 17249 | დენ ბოსხი-ჰელმონდი | 1.85 | 1.95 |
| 17250 | დენ ჰააგი-დორდრეხტი | 1.85 | 1.95 |
| 17251 | როზენდალი-კამბური | 1.85 | 1.95 |
| 17252 | ომნივორლდი-ემენი | 1.85 | 1.95 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15206 | გენგამი-აიაჩო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15207 | მონპელიე-ბულონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15208 | ბასტია-ბრესტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15209 | ამიენი-დიჟონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15210 | რეიმსი-გრენობლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15211 | შატორუ-გენიონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15212 | ლე ავრი-ლიბურნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15214 | სედანი-ნიორი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15215 | ანჟე-ტრუა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15217 | სერკლი-გენკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15218 | გენტი-მუსკრონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15219 | ბეერსხოტი-დენდერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15220 | მონსი-ბრიუგე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15222 | რუზელარე-შარლერუა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15223 | სტ.ტრუიდენი-ლოკერენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15226 | ვესტერლო-ბრიუსელი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15230 | ექსელსიორი-ფეიენოორდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15232 | ჰერენვენი-ალკმაარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15233 | უტრეხტი-როდა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15234 | ბრედა-ტილბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15235 | ვიტესი-ჰერაკლესი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15236 | სპარტა-გრააფსხაპი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15237 | ტვენტე-გრონინგენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15238 | ნაიმეგენი-აიაქსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15240 | ვენლო-პსვ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15243 | ვეენდამი-ზვოლე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15244 | ტელსტარი-ოსხი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15245 | მაასტრიხტი-ვალვაიკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15246 | ეინდჰოვენი-ჰაარლემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15247 | იგლზი-ვოლენდამი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15248 | აპელდორნი-სიტარდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15249 | დენ ბოსხი-ჰელმონდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15250 | დენ ჰააგი-დორდრეხტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15251 | როზენდალი-კამბური | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15252 | ომნივორლდი-ემენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16206 | გენგამი-აიაჩო | 1.55 | 2.20 |
| 16207 | მონპელიე-ბულონი | 1.34 | 2.80 |
| 16208 | ბასტია-ბრესტი | 1.30 | 3.00 |
| 16209 | ამიენი-დიჟონი | 1.45 | 2.45 |
| 16210 | რეიმსი-გრენობლი | 1.75 | 1.85 |
| 16211 | შატორუ-გენიონი | 1.32 | 3.00 |
| 16212 | ლე ავრი-ლიბურნი | 1.12 | 4.60 |
| 16214 | სედანი-ნიორი | 1.32 | 3.00 |
| 16215 | ანჟე-ტრუა | 1.55 | 2.20 |
| 16217 | სერკლი-გენკი | 1.52 | 2.20 |
| 16218 | გენტი-მუსკრონი | 1.24 | 3.60 |
| 16219 | ბეერსხოტი-დენდერი | 1.14 | 4.70 |
| 16220 | მონსი-ბრიუგე | 3.60 | 1.23 |
| 16222 | რუზელარე-შარლერუა | 1.50 | 2.30 |
| 16223 | სტ.ტრუიდენი-ლოკერენი | 1.75 | 1.85 |
| 16226 | ვესტერლო-ბრიუსელი | 1.22 | 3.40 |
| 16230 | ექსელსიორი-ფეიენოორდი | 5.50 | 1.12 |
| 16232 | ჰერენვენი-ალკმაარი | 1.62 | 2.05 |
| 16233 | უტრეხტი-როდა | 1.55 | 2.20 |
| 16234 | ბრედა-ტილბურგი | 1.30 | 3.00 |
| 16235 | ვიტესი-ჰერაკლესი | 1.12 | 4.60 |
| 16236 | სპარტა-გრააფსხაპი | 1.62 | 2.05 |
| 16237 | ტვენტე-გრონინგენი | 1.25 | 3.40 |
| 16238 | ნაიმეგენი-აიაქსი | 4.10 | 1.17 |
| 16240 | ვენლო-პსვ | 5.50 | 1.12 |
| 16243 | ვეენდამი-ზვოლე | 1.80 | 1.80 |
| 16244 | ტელსტარი-ოსხი | 1.52 | 2.20 |
| 16245 | მაასტრიხტი-ვალვაიკი | 1.95 | 1.65 |
| 16246 | ეინდჰოვენი-ჰაარლემი | 1.50 | 2.30 |
| 16247 | იგლზი-ვოლენდამი | 1.52 | 2.20 |
| 16248 | აპელდორნი-სიტარდი | 1.38 | 2.65 |
| 16249 | დენ ბოსხი-ჰელმონდი | 1.22 | 3.40 |
| 16250 | დენ ჰააგი-დორდრეხტი | 1.45 | 2.45 |
| 16251 | როზენდალი-კამბური | 1.14 | 4.70 |
| 16252 | ომნივორლდი-ემენი | 1.55 | 2.20 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14206 | გენგამი-აიაჩო | 1.80 | 2.00 |
| 14207 | მონპელიე-ბულონი | 1.70 | 2.20 |
| 14208 | ბასტია-ბრესტი | 1.65 | 2.30 |
| 14209 | ამიენი-დიჟონი | 1.75 | 2.10 |
| 14210 | რეიმსი-გრენობლი | 1.85 | 1.95 |
| 14211 | შატორუ-გენიონი | 1.65 | 2.30 |
| 14212 | ლე ავრი-ლიბურნი | 1.20 | 2.60 |
| 14214 | სედანი-ნიორი | 1.65 | 2.30 |
| 14215 | ანჟე-ტრუა | 1.80 | 2.00 |
| 14217 | სერკლი-გენკი | 1.75 | 2.10 |
| 14218 | გენტი-მუსკრონი | 1.45 | 2.40 |
| 14219 | ბეერსხოტი-დენდერი | 1.30 | 2.50 |
| 14220 | მონსი-ბრიუგე | 2.50 | 1.30 |
| 14222 | რუზელარე-შარლერუა | 1.75 | 2.10 |
| 14223 | სტ.ტრუიდენი-ლოკერენი | 1.85 | 1.95 |
| 14226 | ვესტერლო-ბრიუსელი | 1.30 | 2.50 |
| 14230 | ექსელსიორი-ფეიენოორდი | 2.60 | 1.20 |
| 14232 | ჰერენვენი-ალკმაარი | 1.80 | 2.00 |
| 14233 | უტრეხტი-როდა | 1.80 | 2.00 |
| 14234 | ბრედა-ტილბურგი | 1.65 | 2.30 |
| 14235 | ვიტესი-ჰერაკლესი | 1.20 | 2.60 |
| 14236 | სპარტა-გრააფსხაპი | 1.80 | 2.00 |
| 14237 | ტვენტე-გრონინგენი | 1.45 | 2.40 |
| 14238 | ნაიმეგენი-აიაქსი | 2.50 | 1.30 |
| 14240 | ვენლო-პსვ | 2.60 | 1.20 |
| 14243 | ვეენდამი-ზვოლე | 2.00 | 1.80 |
| 14244 | ტელსტარი-ოსხი | 1.75 | 2.10 |
| 14245 | მაასტრიხტი-ვალვაიკი | 2.00 | 1.80 |
| 14246 | ეინდჰოვენი-ჰაარლემი | 1.75 | 2.10 |
| 14247 | იგლზი-ვოლენდამი | 1.75 | 2.10 |
| 14248 | აპელდორნი-სიტარდი | 1.70 | 2.20 |
| 14249 | დენ ბოსხი-ჰელმონდი | 1.30 | 2.50 |
| 14250 | დენ ჰააგი-დორდრეხტი | 1.75 | 2.10 |
| 14251 | როზენდალი-კამბური | 1.30 | 2.50 |
| 14252 | ომნივორლდი-ემენი | 1.80 | 2.00 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქორქია-საკანდელიძის მემორიალი რუსთავი. 15-19 იანვარი

# რუსთავი ასაკში იკლებს



ვაჟა ფირცხალაიშვილის ფოტო

ავიატორმა გიორგი ნიკოლაძემ თსუ-ს გადამწყვეტი სამქულიანი ჩაუგდო

**ავიამშენი 75:72 თსუ**
*11:23 23:14 20:14 21:21*

**ავიამშენი:** ნიკოლაძე (10), ხოშტარია (6), კვიმსაძე, იმნაძე (2), როდუმტა (10); მათიაშვილი (17), მინაშვილი (11), ტულუში (11), ბერაია (8)

**თსუ:** ჩიტაშვილი (3), კოხრეიძე (5), ბარბაქაძე (27), კეიდია (20), ყველაშვილი (7); ტყეშელაშვილი (7), ფანჩულიძე (3), ბ. ნოზაძე, არწივიძე

*მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, ხათუნა გაბედავა*
*კომისარი: როლანდ გელოვანი*

**ენერჯი-ინვესტი 101:72 ვითა**
*28:13 31:16 15:23 27:20*

**ენერჯი-ინვესტი:** ცაკვავა (4), ლეჟავა (5), ბოისა (8), სტეფანოვი (2), ბაბიაშვილი (20); დიდია (13), ტუჯანი (11), გოგობერიშვილი (11), დვალიშვილი (9), ჭოჭუა (8), ლიპარტელიანი (5), მაჭავარიანი (5)

**ვითა:** მარხვაშვილი (11), ბ. ბერიშვილი, მარკოიშვილი (16), ბეჟანიშვილი (13), ბერძენიშვილი (11); ძიძიგური (8), მ. ბერიშვილი (7), გვიმრაძე (4), ნ. ნოზაძე (2), გასიტაშვილი, ცერცვაძე

*მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე*
*კომისარი: როილანდ გელოვანი*

**ირაკლი პერტაია** *რუსთავიდან*

დღეს ქორქია-საკანდელიძის მემორიალის გამარჯვებული გამოვლინდება. თასის შარშანდელი მფლობელი რუსთავის „ენერჯი-ინვესტი“ ტიტულს „ავიამშენთან“ დაიცავს. ამ გუნდებმა გუშინ რუსთავის ქიმიკოსთა დარბაზში მორიგი გამარჯვებები მოიპოვეს და 2008 წლის პირველი ტიტულისთვის დაეჭიდებიან ერთმანეთს.

საკმაოდ უცნაური გამოდგა ჯგუფური ეტაპის ბოლო ტური. რომელ მატჩშიც მეტ დაძაბულობას ელოდნენ, სწორედ ის შეხვედრა გამოდგა ცალფარა. სუპერლიგის ლიდერების — „ენერჯი-ინვესტისა“ და „ვითას“ შერკინებას ყველა მოუთმენლად ელოდა, მაგრამ რუსთაველებმა ისე იოლად მოუთავეს საქმე თბილისელებს, რომ იტყვიან, ხელი არ გაანძრევინესო.

ქვემოქართლელებს მხოლოდ დასაწყისში გაუჭირდათ, სანამ დაზვერვითი თამაში მიდიოდა, ხოლო 5 წუთის შემდეგ რომ მოარგეს ვითელთა დაცვას გასაღები, ბოლო წუთებამდე აღარაფერი გასჭირვებიათ.

მასპინძლები თავიდან „ვითას“ მეფარეებისგან მედგარ წინააღმდეგობას წააწყდნენ: დავით ბერძენიშვილი არც ივან სტეფანოვს და არც ზვიად ბაბიაშვილს ფარქვეშ არ აჩარებდა, თუმც რუსთაველებმა ტაქტიკა შეცვალეს და მეტოქეს პერიმეტრიდან შეუტიეს. ამან გაამართლა და მერე როგორ. ყველამ, ხუთეულელებმაც და სამარქაფოებმაც, ვინც კი მოედანზე იყო, წარმატებით ისროლა სამქულიანები. „ენერჯის“ ლიდერობაც გამუდმებით იზრდებოდა და პირველი მეოთხედის ბოლოს 15 ქულას მიაღწია — 28:13.

მეორე ათწუთეული და თბილისელთა რბევა ერთდროულად განახლდა. გეგი ლიპარტელიანმა და ჟულივეტ ტუჯანიმ სამიანები მიითვალეს, რასაც მიხეილ ჭოჭუამაც მიაყოლა შორი სროლა და მასპინძელთა უპირატესობამ მეოთხედის შუაწელში 30 ქულას მიაღწია. ყველაფერიც აქ გაირკვა, თბილისელებმა წინააღმდეგობა შეწყვიტეს და ბოლო მეოთხედში ახალგაზრდა რუსთაველებსაც მიეცათ თავის გამოჩენის შანსი — დავით უსტიაშვილმა მოედანზე სათადარიგოები შეუშვა.

გაცილებით საინტერესო გამოდგა მეორე მატჩი, რომელშიც „ავიამშენი“ დასუსტებულ თსუ-ს ხვდებოდა. სხვათა შორის, სწორედ ამ გუნდებმა გაცვალეს მოთამაშეები. სტუდენტების ფარქვეშა იმედი რიჩარდ მათიაშვილი „ავიაციაში“ წავიდა, სანაცვლოდ კი თსუ-მ დავით ბარბაქაძე მიიღო. ეს უკანასკნელი ალბათ უკმაყოფილო დარჩა ამ ტრანსფერით და თავის ყოფილი გუნდის წინააღმდეგ განსაკუთრებით მოინდომა. ძირითადად ბარბაქაძის დამსახურება იყო, სტუდენტებმა თავიდანვე რომ დიდი უპირატესობა მოიპოვეს — 23:8 საწყისი 8 წუთის შემდეგ!

ამის შემდეგ დაიწყო „ავიატორთა“ გაუთავებელი ბრძოლა ანგარიშის გათანაბრებისთვის, რაც მათ მესამე მეოთხედამდე არ გამოუვიდათ, თუმცა თსუ არც ამან გატეხა და ამჯერად ირაკლი კეიდიას დახმარებით გადამწყვეტ მეოთხედშიც ხელჩასაჭიდი უპირატესობა მოიპოვა — 68:62 საფინალო სირენამდე 3 წუთით ადრე.

ამასობაში სტუდენტების ლიდერმა კეიდიამ მეხუთე პერსონალური მიიღო, თამაშიდან გავარდა და „ავიატორებსაც“ ხელ-ფეხი გაეხსნათ. ლევან მოსეშვილის გუნდმა ჯერ ანგარიში გაათანაბრა და ბოლო წამებზე სანატრელი გამარჯვებაც მოიპოვა.

ყველაფერი დამატებით დრომდე მიდიოდა, მაგრამ „ავიამშენის“ გამთამაშებელმა გიორგი ნიკოლაძემ სირენამდე 6 წამით ადრე მზაკვრული სამქულიანი უთავაზა სტუდენტებს და თავიასიანებს ფინალის საგზური ჩაუჯიბა.

## NBA რეგულარული ჩემპიონატი




ბოსტონელმა რეი ალენმა პორტლენდელებს ბურთი კიდეც დაუმალა და ბევრჯერაც ჩაუკალათა

# ბოსტონმა გასაღები იპოვა

16 იანვარი

**მილუოკი 87:80 ატლანტა**

**მილუოკი:** აივი (9), რედი (17), საიმონსი (9), ძიანლიანი (16), ბოგუტი (21 ქულა, 10 მოხსნა, 4 დაფარება); ვილანუევა (10), ბელი (3), გაძურიჩი (2), სტორი, ვოსკული

**ატლანტა:** ე. ჯონსონი (7), ჯ. ჯონსონი (12), მ. უილიამსი (22), სმიტი (19), ჰორფორდი (6); ჩილდრესი (6), ლუ (4), ლოუ (4), რაიტი, შ. უილიამსი, ჯონსი

ფაჩულიას არ უთამაშია

**ბოსტონი 100:90 პორტლენდი**

**ბოსტონი:** ალენი (35), გარნეტი (26)

**პორტლენდი:** როი (22), აუთლოო (17)

**შარლოტი 99:93 ორლანდო**

**შარლოტი:** ვოლესი (36 ქულა, 14 მოხსნა, 5 პასი), რიჩარდსონი (26)

**ორლანდო:** ჰოვარდი (24 ქულა, 21 მოხსნა), აროიო (17), თურქოღლუ (16)

**ტორონტო 116:91 საკრამენტო**

**ტორონტო:** ბოში (36), დელფინო (26), კალდერონი (17 ქულა, 14 პასი)

**საკრამენტო:** მარტინი (22), ბიბი (19)

**მაიამი 96:126 ჩიკაგო**

**მაიამი:** ონილი (24 ქულა, 10 მოხსნა), ვეიდი (24), უილიამსი (17)

**ჩიკაგო:** გორდონი (24), სმიტი (23), დენგი (21), ნოჩიონი (20), სეფოლოშა (17)

**ინდიანა 125:117 გოლდენ სტეიტი**

**ინდიანა:** გრეინჯერი (29), დანლივი (24)

**გოლდენ სტეიტი:** დევისი (25), ჰარინგტონი (22), ბარნსი (18), ჯექსონი (17)

**ნიუ ჯერსი 105:111 ნიუ იორკი**

**ნიუ ჯერსი:** კარტერი (26), ჯეფერსონი (22), ბუნი (18 ქულა, 12 მოხსნა), უილიამსი (16), კიდი (10 ქულა, 17 პასი, 4 ჩაჭრა)

**ნიუ იორკი:** კროუფორდი (35), რენდოლფი (24 ქულა, 11 მოხსნა), კარი (17)

**ნიუ ორლეანი 123:92 სიეტლი**

**ნიუ ორლეანი:** სტოიაკოვიჩი (23), ვესტი (19 ქულა, 11 მოხსნა), პარგო (18), ჩანდლერი (14 ქულა, 21 მოხსნა)

**სიეტლი:** დურანტი (20), უოტრონი (17 ქულა, 11 პასი), შჩერბიაკი (14)

პირველი ორი თვის სეირნობაში ჩამთამაშებელი „ბოსტონი“ რომ მოეშვა და იანვარში წაგებებს უხშირა, ეს ამბავი გადაღლილობას არა და არხეინობას უფრო დაბრალდა. ბოსტონელები ბუზს არ ისვამდნენ თავზე, მერე კი ოთხი თამაშიდან სამი წააგეს და ხალხი აჩურჩულეს, ეს მაგათი ზეობის დასასრულის დასაწყისიაო. მერე „ბოსტონმა“ კიდევ ერთი წაგების საფრთხეს რომ ჩახედა თვალებში, უბრალოდ, ამოძრავდა.

ყოჩაღი დასავლელი „პორტლენდი“, „ბოსტონს“ მისსავე მოედანზე პირველი ტაიმის შემდეგ 45:43 უგებდა და აქ კი იკადრეს მასპინძელთა მრავალქებულმა ლიდერებმა ხელის განძრევა, განსაკუთრებით კი რეი ალენმა, ვინც „კელტების“ სუპერტრიოში ყველაზე ასაკოვანი (32 წლის) და შესაბამისად, ნაკლებაქტიურია. მან თამაში სეზონში სარეკორდო 35 ქულით ჩაამთავრა და აქედან 26 მეორე ტაიმში გააკეთა. „ბოსტონმაც“ რიხინ-რიხინით არა, მაგრამ დამაჯერებლად კი მოიგო.

„რაც ამ გუნდში ვარ, ასეთი ჭია შემომიჩნდა: ხშირად თამაშიდან რომ გავდივარ, გულში დაუკმაყოფილებლობის გრძნობა მრჩება, თითქოს სახლიდან გამოსვლის შემდეგ მაგიდაზე დამრჩენოდეს მანქანის გასაღები — ხალისით ყვებოდა ალენი ნამატჩევს — ახლა ეს ჭია ამოვაძვრინე გულიდან, როცა სასროლი სიტუაცია მექმნებოდა, ვესროდი. ბურთებიც კალათში ცვიოდა.“

„სასიამოვნო სანახავი იყო მისი თამაში — ამბობდა ალენის თანაგუნდელი პოლ პირსი — კარგია, რომ გვერდით ასეთი გამოცდილი ბომბარდირი გყავს და როცა ის მთელი სიმძლავრით ამუშავებს სადღაც შიგნით დამალულ ტრაქტორს, შენ ისღა დაგრჩენია, ხელი შეუწყო და თან ცქერით დატკბე“

სუსტ მეტოქესთან გასვლა წააგო ზაზა ფაჩულიას „ატლანტამ“. ჯორჯიელები მილუოკიში ცოტა გადაღლილები ჩანდნენ, განსაკუთრებით კი მათი ლიდერი ჯო ჯონსონი, ვინაც თამაშიდან 16-ჯერ ტყორცნა და 12 ააცილა. ბევრად უკეთ როდი ისროდა მისი მილუოკელი ოპონენტი მაიკლ რედი და ნბა-ს ამ ორი სნაიპერის დუელი, ასე ვთქვათ, ჩაიშალა. სამაგიეროდ, მასპინძელთა მხრიდან გაილაღა მათმა ავსტრალიელმა ცენტრმა, 2005 წლის დრაფტის პირველმა ნომერმა ენდრიუ ბოგუტმა, რომელიც ბოლო ხანებში უფრო ხშირად იღებს თამაშს საკუთარ თავზე და მისთვისაც და მისი გუნდისთვისაც ამას მხოლოდ კარგი მოაქვს... მოაქვრდება.

„ატლანტას“ თანადივიზიონელთა ჯახში ბოლო დროს მოძლიერებულმა „შარლოტმა“ ბოლო მეოთხედში აჯობა ახალი წლის შემდეგ სულაშენელებულ „ორლანდოს“. „შარლოტმა“ პირველი ტაიმი 15 ქულით წააგო, მესამე მეოთხედში ერთი პირობა 19-ითაც ჩამორჩა რანგით მაღალ მეტოქეს, მაგრამ ფარხმალი არ დაუყრია, ჯერალდ ვოლესის და განსაკუთრებით ჯეირონ რიჩარდსონის მეცადინეობით პასივიდან აქტივში გადაიყვანა თამაში და ბოლო წუთებზე უკან მოიტოვა მრისხანე დუაიტ ჰოვარდის გუნდი.

„საკრამენტოს“ დაუბრუნდა ვარსკვლავი გამთამაშებელი მაიკ ბიბი, რომელმაც „ტორონტოსთან“ მატჩი სათადარიგოს სტატუსით ითამაშა და 19 ქულა გააკეთა, მაგრამ მისი გუნდი მაინც განადგურდა. ასევე სათადარიგოები იყვნენ „მეფეთა“ სხვა ვარსკვლავები, კევინ მარტინიც და რონ არტესტიც–

„მაიამიმ“ კი კიდევ წააგო და ზედიზედ მარცხების სერია 11-მდე გაზარდა. ვილას აინტერესებს, რომ შაკილ ონილმაც და დუეინ კეიდმაც 24-24 ქულა გააკეთეს?! მათი გუნდი შინ 30 ქულით განადგურდა აღმოსავლეთში მე-11 ადგილზე მყოფ „ჩიკაგოსთან“.

**კოტე ყორშია**

| აღმოსავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | |
| ბოსტონი | 31 | 6 | 83,8 |
| ტორონტო | 21 | 18 | 53,8 |
| ნიუ ჯერსი | 18 | 20 | 47,4 |
| ფილადელფია | 15 | 24 | 38,5 |
| ნიუ იორკი | 12 | 26 | 31,6 |
| **ცენტრალური** | | | |
| დეტროიტი | 29 | 10 | 74,4 |
| კლივლენდი | 20 | 18 | 52,6 |
| ინდიანა | 18 | 22 | 45,0 |
| მილუოკი | 16 | 23 | 41,0 |
| ჩიკაგო | 15 | 22 | 40,5 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | |
| ორლანდო | 24 | 17 | 58,5 |
| ვაშინგტონი | 20 | 17 | 54,1 |
| ატლანტა | 17 | 18 | 48,6 |
| შარლოტი | 15 | 23 | 39,5 |
| მაიამი | 8 | 29 | 21,6 |

| დასავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| **სამხრეთ-დასავლეთი** | | | |
| სან ანტონიო | 25 | 11 | 69,4 |
| დალასი | 26 | 12 | 68,4 |
| ნიუ ორლეანი | 26 | 12 | 68,4 |
| ჰიუსტონი | 20 | 19 | 51,3 |
| მემფისი | 10 | 28 | 26,3 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | |
| პორტლენდი | 23 | 15 | 60,5 |
| დენვერი | 22 | 15 | 59,5 |
| იუტა | 22 | 17 | 56,4 |
| სიეტლი | 9 | 29 | 23,7 |
| მინესოტა | 5 | 32 | 13,5 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| ლეიკერსი | 26 | 11 | 70,3 |
| ფინიქსი | 26 | 12 | 68,4 |
| გოლდენ სტეიტი | 23 | 17 | 57,5 |
| საკრამენტო | 15 | 22 | 40,5 |
| კლიპერსი | 11 | 23 | 32,4 |

## ავსტრალიის ღია პირველობა. მელბურნი. 14-27 იანვარი. საპრიზო 20 640 000 $



ფაბრის სანტორო

**კაცები**
**მეორე წრე**

**როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 6:2 6:2 6:4; **იანკო ტიპსარევიჩი** (სერბეთი) — ფერნანდო ვერდასკო (25, ესპანეთი) 7:5 7:6 7:6; **ხუან მონაკო** (21, არგენტინა) — ამირ დელიჩი (აშშ) 6:3 7:6 5:7 6:7 8:6; **ტომაშ ბერდიხი** (13, ჩეხეთი) — ოსკარ ერნანდესი (ესპანეთი) 6:2 6:1 6:3; **ჯეიმს ბლეიკი** (12, აშშ) — მაიკლ რასელი (აშშ) 6:3 6:2 6:2; **სებასტიან გროჟანი** (საფრანგეთი) — რობინ ჰააზე (ჰოლანდია) 4:6 6:4 6:0 6:7 6:4; **მარინ ჩილიჩი** (ხორვატია) — იურგენ მელცერი (ავსტრია) 6:4 6:3 6:4; **ფერნანდო გონსალესი** (7, ჩილე) — ჰიუნგ-ტაიკ ლი (სამხ. კორეა) 4:6 6:3 6:2 6:4; **ნოვაკ ჯოკოვიჩი** (3, სერბეთი) — სიმონე ბოლელი (იტალია) 6:1 6:2 6:2; **სემ ქუერეი** (აშშ) — დმიტრი ტურსუნოვი (32, რუსეთი) 7:6 4:6 6:4 6:2; **ლეიტონ ჰიუიტი** (19, ავსტრალია) — დენის ისტომინი (უზბეკეთი) 7:6 6:3 5:7 6:1; **მარკოს ბაღდატისი** (15, კვიპროსი) — მარატ საფინი (რუსეთი) 6:4 6:4 2:6 3:6 6:2; **დავიდ ნალბანდიანი** (10, არგენტინა) — პეტერ ლუჩაკი (ავსტრალია) 4:6 7:5 6:4 6:1; **ხუან-კარლოს ფერერო** (22, გერმანია) — ალუნ ჯონსი (ავსტრალია) 6:4 6:4 6:2; **ვინსენტ სპადეა** (აშშ) — დენის გრემელმაიერი (გერმანია) 4:6 6:2 6:3 2:6 9:7; **დავიდ ფერერი** (5, ესპანეთი) — ხუან მარტინ დელ პოტრო (არგენტინა) 6:3 6:4 (უარი)

**ქალები**
**მეორე წრე**

**ვინუს უილიამსი** (8, აშშ) — კამილ პინი (საფრანგეთი) 7:5 6:4; **სანია მირზა** (31, ინდოეთი) — ტიმეა ბაჟინსკი (შვეიცარია) 6:1 4:6 7:5; **ნა ლი** (24, ჩინეთი) — მარია ელენა კამერინი (იტალია) 6:4 6:3; **მარტა დომაჩოვსკა** (პოლონეთი) — სოფია არვიდსონი (შვედეთი) 7:5 1:6 6:1; **საბინე ლისიცკი** (გერმანია) — მარია კორიცევა (უკრაინა) 6:1 7:5; **კაროლინ ვოზნიაკი** (დანია) — ალონა ბონდარენკო (21, უკრაინა) 7:6 6:1; **კატარინა სრებოტნიკი** (28, სლოვენია) — ანასტასია როდიონოვა (რუსეთი) 6:4 6:1; **ანა ივანოვიჩი** (4, სერბეთი) — ტატიანა გარბინი (იტალია) 6:0 6:3; **ანა ჩაკვეტაძე** (6, რუსეთი) — ალისა კლეიბანოვა (რუსეთი) 6:3 6:4; **მარია კირილენკო** (27, რუსეთი) — აკიკო მორიგამი (იაპონია) 6:1 6:1; **ვირხინია რუანო პასკუალი** (ესპანეთი) — კატალინა კასტანო (კოლუმბია) 6:2 6:4; **დანიელა ჰანტუხოვა** (9, სლოვაკეთი) — ალიზე კორნე (საფრანგეთი) 6:2 7:5; **ნადია პეტროვა** (14, რუსეთი) — ენ კრემერი (ლუქსემბურგი) 7:5 7:5; **ეკატერინა მაკაროვა** (რუსეთი) — ივონ მოისბურგერი (ავსტრია) 6:3 6:1; **აგნეშკა რადვანსკა** (29, პოლონეთი) — პაულინ პარმენტიე (საფრანგეთი) 7:5 6:4; **სვეტლანა კუზნეცოვა** (2, რუსეთი) — ცვეტანა პირონკოვა (ბულგარეთი) 7:6 6:2

# მოხუცი და კოსმოსელი

## სანტორო ფრანგული ღვინოსავით ქველდება

**სიურპრიზების** გარეშე — მოკლედ ასე შეიძლება შეფასდეს ავსტრალიის ღია პირველობის მეოთხე სათამაშო დღე. რანგით დაბლა მდგომი მეჩოგნეების სერიოზული წინააღმდეგობის მიუხედავად, უკლებლივ ყველა ფავორიტმა მოახერხა მესამე წრის საგზურის განაღდება. აქამდე ყოველდღიურად ერთი-ორი მცირე მოულოდნელობა მაინც წამოყოფდა ხოლმე თავს, მაგრამ გუშინ არც ამდგვარი რამ მომხდარა. ერთადერთი წაგებული განთესილი ფერნანდო ვერდასკო გახლდათ, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ესპანელი ჰარდის მოყვარულად არასოდეს ითვლებოდა, მისი მარცხი მოულოდნელი არავისთვის ყოფილა.

დღის ყველაზე საინტერესო შეხვედრა კი მარკოს ბაღდატისისა და მარატ საფინის დაპირისპირება გამოდგა, რომელიც სანახავად ვარგისი და ფრიად დაძაბულიც იყო. ამის მიუხედავად, მაყურებელი თუ სპეციალისტები ამ მატჩისგან უფრო მეტს მოითხოვდნენ — ბოლო-ბოლო ერთმანეთს თანამედროვე ჩოგბურთის ორი მთავარი შოუმენი ხვდებოდა და ამიტომ ბევრიც მოელოდა სანახაობას დიდი ჩოგბურთის ელემენტებით.

მეჩოგნეებმა იმედები ნაწილობრივ კი გაამართლეს, მაგრამ აურაცხელი რაოდენობის შეცდომები დაუშვეს, რითაც შთაბეჭდილება ცოტა წაახდინეს. თანაც მატჩის ბედი ხუთ სეტში კი გადაწყდა, მაგრამ სერიოზული ბრძოლა არც ერთი პარტიაში არ ყოფილა — ეს კი იმის ბრალი იყო, რომ უპირატესობა ხელიდან ხელში გადადიოდა.

თავიდან ბაღდატისმა უკეთესად დაიწყო და პირველ ორ სეტში რუსს არაფრის გაკეთების საშუალება არ მისცა. თავისი არასტანდარტული ჩოგბურთით და მოულოდნელი დარტყმებით კვიპროსელმა მეტოქე უბრალოდ წაშალა კორტიდან. თითქოს აქ ყველაფერი უნდა მორჩენილიყო, მაგრამ მესამე პარტიაში მარატმა ტემპს უმატა, კორტზე უფრო სწრაფად გადაადგილება დაიწყო და უკანა ხაზიდან უფრო მძლავრადაც ათამაშდა, რის შემდეგაც სტატისტის როლში უკვე კუნძულელი აღმოჩნდა.

საფინმა სეტებში ანგარიში მალე გაათანაბრა და საქმე გადამწყვეტ პარტიმადეც მივიდა. აქ უპირატესობა წესით რუსს უნდა ჰქონოდა, მაგრამ... მეხუთე სეტში გადამწყვეტ ფაქტორად ჩოგბურთელის ფიზიკური მომზადება იქცევა ხოლმე და ამ მხრივ ბაღდატისი გუშინ ერთი თავით მაღლა იდგა. ის თავიდანვე დაწინაურდა 3:0 და ეს უპირატესობა მატჩის ბოლომდე ხელიდან არც გაუშვა.

მესამე წრეში კვიპროსელს კიდევ უფრო სერიოზული გამოცდა ელის მასპინძელთა ფავორიტ ლეიტონ ჰიუიტის სახით და ბაღდატისმა შეცდომების რაოდენობას თუ არ უკლო, წინსვლის იმედი აღარ უნდა ჰქონდეს. თუმც გუშინ არც ოზი გამოიყურება მაინდამაინც უძლეველად — ლეიტონმა უზბეკ დენის ისტომინთან მოსალოდნელზე მეტი იწვალა და აზიელს ერთი სეტიც „აჩუქა“. ამიტომაც ნამატჩევს ჰიუიტი მხოლოდ იმას იძახდა, რომ თუ არ მოვუმატე, კარგი არაფრის იმედი არ უნდა მქონდესო.

მართალია, ბაღდატის-საფინის მატჩმა მაყურებელს იმედები ოდნავ გაუცრუა, მაგრამ გუშინ როდ ლეივერის სახელობის ცენტრალურ კორტზე ერთი შოუ მაინც დაიდგა. ვეტერანმა ფაბრის სანტორომ პირწმინდად წააგო როჯერ ფედერერთან, მაგრამ მაყურებელი მაგრად კი ახალისა. ფრანგი თითქოს თავიდანვე შეგუებული იყო წაგებას და ამიტომ პირიდან ღიმილი არ მოსცილებია, მაგრამ აქა-იქ იმდენად ლამაზი გათამაშებები მოიგო, რომ ტრიბუნები ფეხზე წამოახტუნა. თუმც ეს მხოლოდ კანტიკუნტი მოვლენები იყო, რადგანაც გენიალური ალპელი პირველი წუთიდანვე აკონტროლებდა მატჩს და შეხვედრა ჩვეული ლაღი თამაშით მოიგო.

„მხიარულმა როჯერმა“ სულ რაღაც საათსა და 21 წუთში მოათავა საქმე და ამიტომაც მატჩ-პოინტზე სანტორომ დროის მაჩვენებლ ტაბლოზე ანიშნა, ეგრე რა გეჩქარება, კიდევ ცოტა ხანს მაინც დავრჩენილიყავით კორტზეო. ამაზე ფედერერს მხოლოდ გაეღიმა, მაგრამ საქმე ბოლომდე მიიყვანა და მესამე წრეში ზემოთ ნახსენებ ვერდასკოს გამამწარებელ იანკო ტიპსარევიჩთან რანდევუც გაინაღდა.

„უკვე იმ ასაკში ვარ, როცა შემიძლია თამაშით სიამოვნება მივიღო, შედეგი კი მეორე პლანზე გადადის. დღეს არცთუ ურიგოდ ვითამაშე და ფიზიკურ ფორმასაც არ ვუჩივი. ასეთი ჩოგნაობით ბევრს გავამწარებდი, მაგრამ როჯერს აბა რას დააკლებ — ის ნამდვილად კოსმოსიდან მოსული გახლავთ“ — განაცხადა ნამატჩევს 35 წლის სანტორომ, რომელმაც სარეკორდო, 62-ე სლემტურნირზე ითამაშა და ამით ანდრე აგასის გადაასწრო.

შვეიცარიელის დარად იოლად იმარჯვა მელბურნში მისმა ალბათ მთავარმა მეტოქე ნოვაკ ჯოკოვიჩმაც, რომელმაც სიმონე ბოლელი ასევე საათნახევარში მოსპო. მოიგეს სამხრეთამერიკელებმაც — შარშანდელმა ფინალისტმა ფერნანდო გონსალესმა და დავიდ ნალბანდიანმა. მაგრამ თუ პირველმა იოლად იხეირა, არგენტინელს მცირე პრობლემები შეექმნა მასპინძელ პეტერ ლუჩაკთან. არგენტინიელმა მხოლოდ პირველი სეტის წაგების შემდეგ დაიწყო ჩვეულ დონეზე თამაში და მერე უკვე მალევე მოათავა საქმე.

მოულოდნელი არაფერი მომხდარა ქალთა შორისაც. მართალია, ზოგიერთ ბობოლას ცოტა კი გაუჭირდა, მაგრამ მესამე წრეს ყველამ უკლებლივ უწია. გამარჯვებულებს კი არ ასამრთლებენ.

ჩვენ ქალთა ბადის ქვედა ნახევრის სამი მთავარი ფავორიტის — სვეტლანა კუზნეცოვას, ანა ივანოვიჩისა და ვინუს უილიამსის ამბებით დავიწყოთ. ამ ტრიოდან ყველაზე დამაჯერებელი ანა ივანოვიჩი იყო. სერბმა ლამაზმანმა კურკეტ ტატიანა გარბინს კინკილა შანსიც არ მისცა და მხოლოდ სამი გეიმი დაუთმო.

აი, კუზნეცოვამა და უფროსმა უილიამსმა ცოტა კი ინერვიულეს. რუსი ცვეტანა პირონკოვასთან პირველ სეტში სულაც 2:5-ს აგებდა, მაგრამ სეტის ამოქაჩვა მოახერხა და ტაიბრეიკზე იხეირა, მეორე პარტიაში კი ბულგარელს უკვე პირწმინდად გადაუარა.

ვინუსმა კი ყველაფერი თავის თავს დააბრალოს, რადგანაც იმდენი შეცდომა დაუშვა, რომ ცოტა უფრო მაღალი დონის მეჩოგნესთან ნამდვილად წააგებდა. თუმც კამილ პინმა ამერიკელს მხოლოდ ნერვები დააწიწკნა, მეტს კი ვერას გამორჩა. ისე ამერიკელის ასეთი ცუდი თამაში იმითაც შეიძლება აიხსნას, რომ მან უმცროს დასთან ერთად წყვილებში თამაშიც გადაწყვიტა და ოდნავ გადაღლილი გახლდათ.

პირველად გაუსინჯა გემო ახალ ავსტრალიურ ჰარდს ანა ჩაკვეტაძემ. ეს კი იმიტომ, რომ მეტოქის უარის გამო პირველი წრე მან უთამაშებლად გაიარა. თუმც ანამ ალისა კლეიბანოვა ორ სეტში დააშამათა და ახლა კიდევ ერთი დერბი ელის მარია კირილენკოსთან.

**ბაჩა ლომაშვილი**



მარკოს ბაღდატისმა მარატ საფინს ჩოგანი თავზე დაახურა და მერე კოცნაც გაუგზავნა



# შავი ზღვა აბობოქრდა

**აიწყვიტესო**, ქართველ სუმოისტებზე ლევან ცაგურიასა და ლევან გორგაძეზეა ნათქვამი. ცაგურიამ, იგივე კოკაიმ წლევანდელ პირველ სუპერტურნირზე, იანვრის ბაშოზე გუშინ მეხუთე დღე ჩააჭიდავა და მეოთხე გამარჯვება მოიპოვა.

„შავ ზღვად“ წოდებული ქართველის მეტოქე იაპონელი, დასავლეთის მე-II მაეგაშირა კასუგაო იყო, ვისაც ნულოვანი ბალანსი (2-2) ჰქონდა და ჩვენიანთან ფავორიტი ვერაფრით იქნებოდა. კოკაიმ ძირს დაანარცხა იაპონელი და თავისი დადებითი ბალანსი კიდევ უფრო გაზარდა. ლევან ცაგურიას ახლა ოთხი მოგება აქვს ერთი მარცხის წილ და დარჩენილ ათ ბრძოლაში რაღაც გაუთვალისწინებელი უნდა მოხდეს, ბალანსი გაიუარესოს და რეიტინგში დაქვეითდეს.

უმაღლეს დივიზიონში, სადაც ლევან ცაგურია ჭიდაობს, ოთხი მოგება კიდევ რვა მოჭიდავეს აქვს. ესენი არიან იოკუძუნა ასასორიუ, კომუსუბი კოტოსოგიკუ და რიგითი მაეგაშირები კისენოსატო, ტაკეკაძე, კეკუტენხო, ივაკიიამა, იტიხარა და ფუტენო. ფუტენო გუშინდლამდე დაუმარცხებელი იყო, მაგრამ მოგებათა სერია იტიხარამ შეუწყვიტა. წაუგებელი კი ჯერჯერობით მხოლოდ იოკუძუნა ჰაკუხოა, რომელსაც ასასორიუს შემდეგ (21 ტურნირი), ყველაზე მეტი ხუთი სუპერტურნირი აქვს მოგებული.

უმაღლეს დივიზიონზე თხრობა კოკაის სადღეისო ბრძოლით დავასრულოთ. დღეს ლევან ცაგურია დასავლეთის მე-6 მაეგაშირას ხოკუტარიკის დაეჭიდება, ვისაც აქამდე ხუთი ბრძოლიდან მხოლოდ ორი მოუგია, ფავორიტიც ჩვენიანია. დაუმარცხებელი ჰაკუხო პირველ მაეგაშირა კოსენოსატოს ხვდება და დიდი შანსია, პირველი მარცხი იგემოს.

რანგით მეორე დივიზიონში მიჯრით მესამე ბრძოლა მოიგო 20 წლის ლევან გორგაძემ (ტოჩინოშინი). გორგაძემ ამჯერად გუშინდლამდე წაუგებელი ჰაკუბა წააქცია და ბალანსი 4-1 გაუხდა. ამ გამარჯვებით გორგაძე დასავლეთ დივიზიონში გალიდერდა. მასსავით 4 მოგება და ერთი წაგება სამ სუმოისტს ტამავასის, ჰაკუბას და რიუოს აქვთ, მაგრამ ქართველი მათ ურთიერთშეხვედრებით სჯობნის და დასავლეთელ გოლიათთა ამქარსაც იგი უსტაბაშობს. აღმოსავლეთ დივიზიონში დაუმარცხებელი ჯერჯერობით მონღოლი კიტატაიკია, ერთი წაგება აქვს კიტაძაკურას. ორივე დივიზიონის შედეგებით გორგაძეს მხოლოდ ესენი სჯობნიან.

**ბაჩო სვანიძე**



# დღეს ფხაკაძე ნაკრებს იტყვის



ტიტე კალანდაძე ნაკრებს ალბათ ვერ დაეხმარება

გურამ [illegible] ფოტო

**საქართველოს** ნაკრები „ჩელენჯ-ტროფის“ ფინალისთვის მზადებას განაგრძობს. ბიჭებმა უკვე სრულად მოიყარეს თავი და ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე ვარჯიშობენ. ნაკრების თავკაც იმედო ფხაკაძეს საწვრთნელი პროცესის წარმართვაში ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი გარი თურქია ეხმარება, ვინც გუნდს ნორვეგიაშიც გაჰყვება. დღესდღეობით ნაკრებთან ერთად არ არის მთავარი მეკარე შოთა თევზაძე. ის შვედურ „მალმიოში“ იმყოფება გასინჯვაზე და იქიდანვე შეუერთდება გუნდს ნორვეგიაში. ფხაკაძის თქმით, თევზაძე იქ ინტენსიურად ვარჯიშობს, ორმხრივ თამაშებშიც მონაწილეობს და საფინალოდ კარგ ფორმაში უნდა იყოს. მის თამაშზე ბევრი იქნება დამოკიდებული, თუ განვლილ „ჩელენჯ-ტროფის“ ჯგუფურ თამაშებს გავითვალისწინებთ, სადაც თევზაძე შესანიშნავი გახლდათ. კიდევ ერთ მეკარეს, გერმანულ „ვეიდენში“ მოთამაშე არჩილ გარიშვილსაც ნორვეგიაში ელიან.

სამწუხაროდ, თითქმის გამოირიცხა გამოცდილი ტიტე კალანდაძის თამაში. მას უკვე რა ხანია, ფეხის ტრავმა აწუხებს და ვერაფრით ახერხებს სრული დატვირთვით საწვრთნელ პროცესში ჩართვას.

ვარჯიშები 2 საათზე მეტხანს გრძელდება და დასრულების შემდეგ გარი თურქია თითოეულ ხელბურთელს ინდივიდუალურად აძლევს მითითებებს და კომბინაციებს ახვეწინებს. რაც შეეხება საბოლოო შემადგენლობას, ფხაკაძემ ადრე თქვა, წამსვლელები უკვე შერჩეული მყავს, მაგრამ დასახელებისგან თავს შევიკავებო. დღეს კი პრესკონფერენციაზე ყველაფერი გაცხადდება.

შეგახსენებთ, რომ თამაშის ტრანსლაცია „საზოგადოებრივი მაუწყებელზე“ თბილისის დროით 6 საათზე დაიწყება.

**ლევანო მაისურაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# დე ვილიემ ვეტერანებს დასცხო

## ჯერ კითხვები, შემდეგ პროტესტი



**სამხრეთ** აფრიკის ნაკრებს რომ ახალი მწვრთნელი დაუნიშნეს, ამის შესახებ უკვე დავწერეთ. ასევე მოგახსენეთ, რომ პიტერ დე ვილიე თანამდებობაზე ცინცხალი იდეებით მოდის და „ქურციკები“ მის ხელში სავარაუდოდ სრულ ტრანსფორმაციას განიცდიან. დე ვილიემ ისიც განაცხადა, მართალია, ჩემს ხელში ნაკრები მნიშვნელოვნად გადახალისდება, მაგრამ ძველ და ამაგდარ მობურთალებზე უარს მაინც არ ვიტყვიო. მაგრამ, ეტყობა, სულ სხვა ინფორმაცია მივიდა უკვე გამოწრთობილ-გამოცდილ მენაკრებეთა ყურამდე. გაგიკვირდებათ და თურმე, დე ვილიე მსოფლიოს თასის მომგებ მორაგბეთა უმეტესობას ნაკრებს გარეთ დატოვებას უპირებს. ლაპარაკია მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილეთა დაახლოებით 70 პროცენტზე.

საპასუხო, მაგრამ არარადიკალური ნაბიჯები გადადგეს სავარაუდო მოკვეთილებმაც. მათ სამხრეთ აფრიკის რაგბის მოთამაშეთა ასოციაციას მიმართეს დახმარებისთვის და ოფიციალური პირის მეშვეობით სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირს სამ შეკითხვაზე მოსთხოვეს პასუხი: 1. როგორ იმუშავებს სანაკრებო სისტემა დე ვილიეს ხელში? 2. ვინ შეარჩევს მოთამაშეებს, სელექციონერები თუ ნაკრებში ახალი პოლიტიკის გამტარებლები? 3. თუ შეუძლია დე ვილიეს გადამწყვეტი სიტყვის თქმა მორაგბეთა შერჩევის დროს?

ამ კითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ ვეტერანები აპირებენ შესაბამისად იმოქმედონ. შესაძლოა, მათი პროტესტი უფრო რადიკალურიც გახდეს.

**ზურაბ მიბრიაული**

# ლარქემმა მზის ამოსვლა ისურვა

**ავსტრალიის** ნაკრების ლეგენდარული ნახევარმცველი სტივენ ლარქემი კარიერას იაპონურ „რიკო ბელრამსში“ დაასრულებს. ლარქემმა იაპონურ კლუბთან სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი და ამით მის გარშემო ატეხილ სპეკულაციას წერტილი დაუსვა. არადა, საკმაოდ უცნაურია მისი გადაწყვეტილება, ვეტერან ვარსკვლავს ხომ უამრავი ევროპული გუნდი ეპატიჟებოდა. მათ შორის იყო ჰაინეკენის თასზე მოთამაშე შოტლანდიური „ედინბურგიც“, მაგრამ ძველმა „ვოლაბმა“ მაინც ამომავალი მზის ქვეყანა არჩია.

— მე ყოველთვის მინდოდა იაპონიაში ჩემი ძალების გამოცდა და უფრო ადრე მომეცა ამის საშუალება, ვიდრე ვგეგმავდი. ჩემი ოჯახი აფორიაქებულია ტოკიოში გადასვლის გამო, ყველაფერს კი პირველი ჯახების მოლოდინი ჩრდილავს. მე მოუთმენლად ველი ჩემს პირველ იაპონურ მატჩს — განაცხადა ლარქემმა.

სტივენ ლარქემს ნაკრებში 102-ჯერ უთამაშია და წლების მანძილზე ჯორჯ გრეგანთან ერთად, ნახევარმცველთა გოროზ დუეტს შეადგენდა. მას 2007 წლის მსოფლიოს თასზეც უნდა ეთამაშა, მაგრამ ჩემპიონატის დაწყებამდე მუხლის ტრავმა მიიღო და ნაკრებს გამოემშვიდობა.

**ზურაბ მიბრიაული**





# ხარებს რენოს გული აქვთ
## ახალი რედ ბული ძველი სახეებით

**ესპანურ** ხერეს დე ლა ფრონტერაში მიმდინარე ტესტების დროს ახალი ბოლიდის პრეზენტაცია მოახდინა „რედ ბულმა“.

ახალი RB-4 კვლავაც „რენოს“ ძრავიანი იქნება და ამასთან დაკავშირებით, ავსტრიული საჯინიბოს ბოსი კრისტიან ჰორნერი კმაყოფილებას არ მალავს. „ჩვენ ძალიან მოხარულნი ვართ „რენოსთან“ თანამშრომლობით და იმედი გვაქვს, რომ უახლოეს მომავალში ამ მხრივ არაფერი შეიცვლება — განაცხადა ჰორნერმა და დაამატა — ჩვენ ზუსტად ისეთივე ძრავა გვაქვს, როგორიც საკუთრივ „რენოს“ და აქედან გამომდინარე, ფრანგული საჯინიბო ჩვენთვის ბარომეტრივით იქნება, რომელსაც უნდა დავეტოლოთ. ვფიქრობ, წლეულს უაღრესად დაძაბული ბრძოლა და გუნდებს შორის სხვაობა კი მინიმალური იქნება“.

ჰორნერის განცხადებით, ახალი ბოლიდით პირველ ტესტებს მრბოლები იანვრის მეორე ნახევარში გაივლიან. „2007 წელს ჩვენ დაახლოებით 24 ქულა დავკარგეთ ტექნიკური მიზეზების გამო. რომ არა ეს დანაკარგები, საბოლოო ცხრილში „რენოსთან“ და „უილიამსთან“ უაღრესად ახლოს ვიქნებოდით. სწორედ ამიტომ, ახალი მოდელის შექმნისას უმთავრესი ყურადღება მანქანის საიმედოობას მიექცა“ — დაამატა „რედ ბულის“ შეფმა.

ახალი RB-4-ით კვლავაც ძველი პილოტები იქროლებენ. „წითელი ხარების“ ღირსებას შარშანდელის დარად, ისევ მრავალნაცადი შოტლანდიელი დევიდ კულტჰარდი და ავსტრალიელი მარკ ვებერი დაიცავენ, ხოლო ტესტ-პილოტი 19 წლის შვეიცარიელი სებასტიან ბუემი იქნება, ვინც ჰორნერმა გერმანელი მიხაელ ამერიმიულერის ნაცვლად აიყვანა.

ჰორნერი დარწმუნებულია, რომ ასაკის მიუხედავად, კულტჰარდს მოტივაცია არ დაუკარგავს და მას წარმატებული სეზონი ექნება: „დევიდის მოტივაცია ეჭვს არ იწვევს. მთელი ზამთარი ის წარმოუდგენელ რეჟიმში ვარჯიშობს და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ფიზიკურ ფორმას. ვფიქრობ, მისი სურვილი, მოიპოვოს გამარჯვებები, ისე ძლიერია, როგორც არასდროს“.

ოპტიმისტურად არის განწყობილი კულტჰარდის ავსტრალიელი თანაგუნდელიც. „მთავარია, ჩვენ თანდათანობით და გეგმაზომიერად ვზრდით ტემპს. „რენოს“ ძრავა, პილოტებისა და ტექნიკური პერსონალის ერთად მუშაობის გამოცდილება — ვფიქრობ, ახალი ბოლიდით „რედ ბული“ გაცილებით მეტს მიაღწევს“ — განაცხადა ვებერმა.

**კახა ლომაძე**



# რეგულარული ჩემპიონატი

16 იანვარი

**ფილადელფია 5:3 ფლორიდა**
*4:1 0:2 1:0*
1:0 ტიმონენი (3), 1:1 ბაუმისტერი (10), 2:1 განიე (13), 3:1 ბრიარი (17), 4:1 ჰარტნელი (18), 4:2 ოლეში (34), 4:3 უაიზი (39), 5:3 ბრიარი (60)

**რეინჯერსი 2:1 ბუფალო**
*1:0 1:1 0:0*
1:0 დუბინსკი (7), 1:1 პომინვილი (23), 2:1 პრუხა (30)

**ჩიკაგო 6:1 სენტ ლუისი**
*0:0 2:1 4:0*
1:0 სკილი (30), 2:0 ბურკი (36), 2:1 სტემპნიაკი (39), 3:1 კეინი (42), 4:1 ბაიფულენი (53), 5:1 კეინი (55), 6:1 პერო (58)

**მინესოტა 2:3 კალგარი**
*0:0 1:1 1:1 0:0 (0:1 ბულიტებით)*
0:1 მოსი (33), 1:1 ბარნსი (39), 1:2 ფანაფი (42), 2:2 ჰუსელიუსი (42)

**ნიუ ჯერსი 1:3 აილენდერსი**
*0:1 0:1 1:1*
0:1 გერინი (16), 0:2 სელინჯერი (25), 1:2 ზეიჯაკი (48), 1:3 გერინი (60)



სენტლუისელი კრისტიან ბეკმენისა (მარცხნივ) და ჩიკაგოელი ტუომო რუუტუს ცეკვა ყინულზე



# მასტერსის ტურნირი. ლონდონი. ინგლისი. 13-20 იანვარი



მარკ უილიამსი

# წააგო და წავალო

**უელსელი** მარკ უილიამსი 21 მარტს 33 წლის გახდება. სნუკერისთვის ამ ასაკს იდეალური აღარ ეთქმის, მაგრამ ვეტერანობამდე ნამდვილად ადრეა. სხვა თუ არაფერი, აგერ სტივ დევისი, მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონი, 50 წლის მოყრილა და კვლავაც ელიტაშია, წასვლას არ ჩქარობს. უილიამსმა კი ლონდონში მიმდინარე „მასტერსის“ პირველივე წრეში ირლანდიელ კენ დოჰერტისთან 2:6 მარცხის შემდეგ ბრძანა, ამ სეზონსაც ჩავამთავრებ და კარგად იყავითო.

მარკ უილიამსი უბრალო ვინმე არ გეგონოთ. პროფესიონალური კარიერა 1992 წელს, 17 წლის ასაკში დაიწყო და 16 სარეიტინგო ტურნირის მოგება მოასწრო, მათ შორის ორჯერ — 2000 და 2003 წლებში მსოფლიოს ჩემპიონატის და ორჯერაც — 1999 და 2002 დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს პირველობის. სნუკერის მაგიდასთან მიღწეული წარმატებებისთვის ის ბრიტანეთის იმპერიის ორდენიით დააჯილდოვეს და აი, მარკმა წასვლისა თქვა — ძველებურად ვეღარ ვთამაშობ და უკვე დრო არის, კიი შალითაში შევახვიოო. სამწუხაროა...

ამასობაში ლონდონურ „მასტერსზე“ რვავე მეოთხედფინალისტის ვინაობა გაირკვა. სტივ მაგუაერს, მარკ სელბის, კენ დოჰერტის, შონ მერფის, პიტერ ებდონსა და მარკო ფუს ბოლოს დინ ჯუნხუ და სტივ ლი შეუერთდნენ. ინგლისელმა ლიმ მსოფლიოს ექსჩემპიონი შოტლანდიელის, გრემ დოტის წინააღმდეგობა ბოლო ფრეიმშიღა გატეხა, 6:5 მოიგო და მეოთხედფინალში მსოფლიოს კიდევ ერთ ექსჩემპიონზე, თანამემამულე პიტერ ებდონზე გავიდა. ჩინელმა ჯუნდერკინდმა კი, სულაც მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი, ასევე შოტლანდიელი ჯონ ჰიგინსი დაჯაბნა 6:4 და ახლა თავის ჰონკონგელ თანამოძმეს, 2007-08 წლების სეზონში დიდებულად მოთამაშე მარკო ფუს დაუპირისპირდება.

ერთი ფინალისტი, სწორედ ამ ოთხეულის დავაში გაირკვევა, ხოლო სატურნირო ბადის ზედა ნახევრის მეოთხედფინალური წყვილები ასე გამოიყურება: შოტლანდიელი მაგუაერი ინგლისელ სელბის ხვდება, ხოლო ირლანდიელი დოჰერტის მეტოქე კიდევ ერთი ინგლისელი მერფია.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge